№ 220
F 26/1865

# ГРУЗИНСКІЙ ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

## 1865.

## ДЕКАБРЬ.

# საქართველოს

## სასულიერო მახარებელი.

დეკემბერი.

ჩყჲე წ.

ТИФЛИСЪ.
Въ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К°.

# ПОДПИСКА

НА

# „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* ($18^{64}/_{65}$) годъ.

Независимо отъ журнала продаются: ‘‘Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и ‘‘Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

---

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაკტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳეყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ. მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი. ამავე ფასად შეიძლება გამოწერა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ჟურნალისა.

ცალკე ისყიდება: ‘‘ადვილ-სასმენელად გამოხატჳა მართლ-მადიდებელის სარწმუნოების დოღმატიკურისა სწავლისა,, და ‘‘ცხოვრება ყოვლად-წმიდისა ღჳთის-მშობლისა,,—ო რ ა ბ ა ზ ა თ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

---

# წამება წმიდისა სტეფანესი.

და იყო მათ დღეთა შინა გამრავლებასა მოწაფეთასა დრტვინ-
ვა წარმართა ებრაელთა მიმართ მორწმუნეთა, და დღეთა მათ პი-
ლატესთა მეოთხისა ხელმწიფისათა, ჳ ანნასა და კაიაფას[illegible] მღ-
დელთ-მოძღუ̂ართასა, წელსა მეათხუთმეტესა, მასვე ჟამსა გა[illegible]ე-
სა უფლისა ჩუ̂ენისა იესო ქრისტესსა, მსწრაფლ გამოძიება ფა[illegible]-
სეველთა და სადუკეველთა, რომელნი იყუ̂ნეს იერუსალიმსა.

ზრახვა-ჰყვეს და თქვეს, ვითარმედ აღდგა დაფლული იგი და გვეჩვენა მკუ̂დარი რათა უწყოდით; ხოლო რომელნიმე იტყო-დეს—მწვალებელი არს; და რომელნიმე იტყოდეს გამოსჩნდა მეს-სია, რომელ არს ქრისტე: მათ ჟამთა შინა, ვითარცა გამოითარგ-მანებოდეს წიგნნი აღთქმისანი და წინასწარ-მეტყველთანი და შემგო-მნი და ვერვინ სთქუ̂ა მისთჳს ვითარმედ დედაკაცისაგან იშვა, აღ-ვინმე სდგა შორის ზრახვასა მას სჯულისა მასწავლელი, რომელ-სა სახელი ერქუ̂ა სტეფანე, მოუწოდა ერსა მას და თქუ̂ა: წინას-წარმეტყველთა იკითხავთ და არა გულისხმა-ჰყოფთ. პირველად ესა-ია ღაღად-ჰყო და თქუ̂ა: აჰა ქალწული მიუდგეს, და შვეს ძე და უწოდინ სახელი მისი ე მ მ ა ნ უ ი ლ, რომელი ითარგმანების ჩვენთანა არს ღმერთი. მერმე ნათან წინასწარმეტყუ̂ელმან სთქუ̂ა, ვითარმედ ქალწულისაგან შობილისა განისაროს ყოველმან მან დაბადებულმან, და სიტყუ̂ა ღუ̂თისა მას შინა დამტკიცნეს. მერმე ისუ ძე ნავეხი იტყვის: ვიხილე ერმა წიაღთა ქალწულისათა, და

რჯული, რომელი თქუენ გაქუს, იტყჳს მის თჳს, რომელი იშვა ქალწულისაგან: განშორის ისრაილი რჯულისაგან. და ნათესავნი იგი რომელნი დაშთენ დაამტკიცნენ. აწ გულისხმა-ჰყავთ მოხუ-ცებულნო: რამეთუ თქუენსა მაგას რჯულსა მე არა ვიდოდე; მადლსა დაფლულისასა და აღდგომილისასა იესო ქრისტესსა თაყვა-ნის-ვსცე და უგალობდე სახელსა მისსა. მას ყამსა განრისხნა ნე-ტარი სტეფანე და წარვიდოდა კრებულისაგან.

მაშინ აღდგა კაიაფა მღუდელთ-მოძღუარი და უკუ მოაქცია სტეფანე მუნვე კრებულად; მერმე სირცხვილეულნი ვერას იტყოდეს განკაცებისათჳს იესო ქრისტესა. და ესრეთ თქუეს, ვითარმედ მა-რიამს ღუთის-მშობელად უწოდე. აღადგინეს მღუდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა სტეფანე და წარუდგინეს პილატეს. და პილა-ტე ბჭემან რქუა მათ: რაჲ უქმნიეს კაცსა ამას მღუდელსა მშვენი-ერსა, რომელ წარმოადგინეთ წინაშე ჩემსა ვითარცა ძვირის-მოქმედი?

მიუგო პილატე სტეფანეს და რქუა: დაჯედ მარჯვენით ჩემ-სა, სტეფანე, რომელი მარადის ჰყვავი, ვითარცა გვირგვინი, ქვაო პატიოსანო დიდისაო სასყიდლისაო. სტეფანე მსწყემსო შემდგო-მთა სამწყსოთაო; სტეფანე მოძღუარო ღუთის-მსახურებისაო; სტეფანე და ვინმე იყოს მსგავს შენდა საუკუნესა მას და მერმესა ცხოვრებასა და განსვენებასა, და ამბორს უყოფდა პილატე პირსა სტეფანესა. და რქუა გევედრები შენ, მონაო ღუთისაო, იღუაწე ჩემთჳს უფლისა მიმართ, რათა მეცა შემრთო რიცხვსა რომელთა რწამს ქრისტე.

რქუა პილატე მღუდელთა მათ და ყოველსა კრებულსა: შემ-ძლებელ ვარ და ხელმეწიფების განტევება სტეფანესი სატანჯველ-თაგან; ხოლო არა დავაბრკოლო გზისა მისგან სიმართლისა. არას ბოროტსა ვხედავ კაცისა ამისთანა; ნეტარ თუმცა არცა მაშინ ვიძუ-ლე თქუენ მიერ და ხელნი დავასხენ უხრწნელსა მას და მართალ-

ხა უფალსა; არამედ წარიყვანეთ ეგე ჩემგან ვიდრეცა გნებავსთ, ხო-ლო მე არცა ბოროტსა ვიქმ მაგას ზედა.

მაშინ წარიყვანეს ნეტარი სტეფანე მღვდელთ-მოძღვართა მათ და მწიგნობართა, და წარადგინეს იგი წინაშე ათასის თავისა მის კლავდიოსისა. და ვითარ იგი მიუგებდა და იტყოდა სტეფანე, მას ჟამსა მოვიდა სავლე ტარსონით კილიკიასად, რომელსა აქუნდა ხელმწიფება შეკრვად და შესმად საპყრობილესა ყოველთათჳს, რო-მელნი სახელ-სდებდეს ქრისტესა, და დაჯდა ათასის თავისა მის თანა, და კითხვიდა ნათესავსა სტეფანესსა და სამკვიდრებელსა. და ვითარცა გულისხმა-ჰყო რამეთუ ქრისტესა სახელს-დებს, უბრძანა მსწრაფლ გვემა მისი და შეკრვა, და რქუა მას: სთქუ, სტეფანე, ვითარმედ ჯუარცმულსა აღიარებ ღუთად, და ჩვენ არა დავიჯერეთ უფროსღა მარიამს ღუთის-მშობლად?

მიუგო წმიდამან სტეფანე და რქუა: ჰოი ვითარ ურთა ძაღლთა სისხლის მწბოლველთა გბრძოდი, რომელთა პური მიიღეს და ხელ-ნი უფალსა და მაცხოვარსა შეუგრნეს და შემსჭვალეს ჯუარსა! და რქუა ათასის თავსა მას: მკვიდრო ჯოჯოხეთისაო! რაჲ გნებავს სთქუ შენცა, ათასის თაო დაბრმობილო თვალითა, და დარღვეულო ხორცითა, და სულითა განდაგვლარძნილო: რომელმან სურომან შე-უძლოს შენდა ხატად აღმართებად, ვითარ ღუთისა ჩუენისა ქრი-სტესა, რომელი გამოუძიებელ-არს და ბრწყინვალე ხატითა ბრ-წყინვალითა, და მთოვარე და ვარსკულავები მრავლითა მშვენიერები-თა, და ქუეყანა ყუავილითა შეამკო, და ჴაერნი ყუავილითა, ფრი-ლითა შეამკუნა, და ზღუა ფერად-ფერადითა წარმავალითა შეამკო. რომელმან ესე ყოველი ქმნა, იგი არს ძე ღუთისა, ქრისტე ღმერ-თი, ღუთისაგან შობილი. რაჲსათჳს ჯუარს-აცვით, ჰოი უგუნურნო. ანუ ვითარ იტყვით, ვითარმედ დედაკაცისა თანა დაემკვიდრა, იშვა შობილი იგი, რათა ცთომა იგი, რომელი დედაკაცისგან იყო, აღ-

ხოცოს. სამარიტელად იწოდა, რათა ყოველნი ნათესავნი მისა მოაქცინეს; ცთომილად იწოდა, რათა შეცთომილნი მოაქცინეს. მოკუ̂და, რათა მკუ̂დარნი აცხოვნნეს, და აღდგა, რათა ყოველნი აღადგინეს. აწ ვითარ ჰგონებ მისთჳს, ჵი სავლე! დასცხერ, მდევარო ღუ̂თის-მსახურებისაო! შენცა წინა-აღგიდგეს სასმელი ესე სმად, რამეთუ ამას ღამესა დაგადგრეს შენ ანგელოსი უფლისა, რამეთუ მრქუ̂ა მე შენთჳსცა და გეტყჳ შენ დღესა მას, რომელსა წინასწარ გხედავ, ვითარმედ არა მრავალთა დღეთა შემდგომად ჯერ-არის შენდა სასმელი ესე შესმად, რომელი ესე აწ ჰქმენ ჩემდამო, სავლე ამათგანვე ურიათა იქმნეს შენთჳს, რათა გევნოს და მომისხენო მე; აწ უკვე იქმოდე მალე, რაიცა გნებავს. მაშინ განრისხნა სავლე და დაიპო სამოსელი თჳსი, და თჳსითა ხელითა გვემა კუერთხითა ძლიერად და აღაზრზინა ათასის თავი იგი, რათა თავი მოჰკვეთონ ღირსსა მას ღუ̂თისასა სტეფანეს; და სცეს მახვილითა ოცდა-ათჯერ და არა იპოვა წყლულება ქედსა მისსა. მერმე მოიქცა სავლე და უბრძანა ქვისა დაკრება ასოვნისა მის ღუ̂თისა და ესრეთ ძლიერად ქვათა მათგან დაბრკოლდებოდა მზისა ბრწყინვალება. და ვითარ ქუ̂ასა დაჰკრებდეს წმიდასა სტეფანეს და ქვისა მისგან რომელიმე მიემთხვეოდა ასის თავსა მას, და რომელიმე მიემთხვეოდა ერისაგანთა მათ.

ხოლო წმინდამან სტეფანე ვითარ იხილა გვემულება იგი ერისა მის, შეეწყალა ერი იგი და დაიდგნა მუხლნი მისნი ქვეყანასა ზედა, აღიხილნა თვალნი თჳსნი ზეცად და აღიპყრნა ხელნი თჳსნი, ილოცვიდა და სთქუ̂ა: გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, რომელმან ყოველსა ჟამსა ისმინე ჩემი, და აწცა გევედრები, რათა განიკურნენ გვემულნი ესე, რომელნი იქმან უსჯულოებით ჩემზედა. და ვითარ ილოცვიდა ოდენ წმიდა სტეფანე, მეყუ̂სეულად ძრვა იყო და განეხუ̂ნეს სამყარონი ცისანი; და იხილა მამა ღმერ-

თი მჴედრომარე საყდართა ბრწყინვალეთა და ძე მისი იყო ქრისტე მარჯჳენით მამისა, და ტრედი ერთი სპეტაკი გარდამოვრინდა და მოაქჳნდა გვირგვინი ბრწყინვალე ვითარცა მზის თვალი: და ვითარცა იხილა წმიდამან სტეფანე მეუფება იგი ღმრთისა, მაშინ ხმა იყო ზეგარდამო და რქჳა მას: მწყემსო კეთილო, რომელმან მრავალნი აცხოვნენ შენითა მოთმინებითა და სარწმუნოებითა: ალმოგვალე ჭეშმარიტო ერის-თაო ერისა ჩემისაო, განხმულ-არიან ცანი შენთჳს და მხიარულ-არს მამა, და ძე, და სული წმიდა, და უხარის ანგელოსთა და კაცთა მართალთა სიმხნე მზე შენი. სტეფანე, რჩეულო ჩემო, იყავნ ნება შენი, და განიკურნენ იგინი, რათა სცნან ძალი ჩემი და მოწყალება. მაშინ მიხედნა სტეფანე ერსა მას და იხილნა გვემულნი ქვითა, ჯჳარი დასწერა და რქჳა ერსა მას: მიგეტევნენ თქჳენ უგუნურებანი თქჳენნი; სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, განიკურნენით. ხოლო მამა იგი სტეფანესი სვიმონ თანა უდგა და არა შეორგულდა, არცა დააბრკოლა სტეფანე: არამედ მანცა აღიპყრნა ხელნი თჳსნი და თქჳა: ღმერთო შეივედრე სული მონისა შენისა, რომელი ღირსჰყავ მაღლსა მოღებად, და სათნო იჩინე სასუფეველსა შენსა.

მაშინ დაიძინა სტეფანე ძილითა სულიერითა; ხოლო ერი იგი განიკურნა გვემისა მისგან, და ცოცხალ იქმნნეს ვითარცა პირველ იყჳნეს. მაშინ უბრძანა ასის-თავმან კლავდიოს და სავლე და მღჳდელთა მათ და განაგდეს წმიდა სტეფანე ქალაქით გზასა მას კედრით კერძოსა, და რჯული დასდვეს რათა თუ ვინ დამარხოს კაცი იგი სიკჳდილით მოკჳდეს, და ნაყოფი მისი იავარად წარიღონ; არამედ რათა შეჭამონ გჳამი სტეფანესი ფრინველთა ცისათა და მხეცთა ქვეყანისათა, და სხჳამან არღარავინ იკადროს სახელითა იესო ქრისტესითა სწავლად ერსა მას. და დაჰყო დღე და ღამე და ანგელოზნი სცვიდეს მას, და მოვინმე-ვიდა კაცი მორ-

წმუნე ქრისტესი, რომელსა სახელი ერქუა გამალიელ მრავლითა მოსწრაფებითა ღამე, და შეურდა მოციქულთა, რათა ნაწილნი წმიდისა სტეფანესნი მან აღიხუნეს და წარიხუნეს თჳსსა დაბასა, და მსგავსად ჩვეულებისა სჯულისა მათისა აღასრულოს; და წარიღო სიხარულითა დიდითა და დაფლა წმიდა სტეფანე დიდითა პატივითა და მრავალითა სულნელებითა ახალსა თჳსსა სამარესა, რომელი იყო განშორებულად ქალაქისაგან ვითარ ოც-მილიონ. მაშინ პილატე ბჭემან წარიყვანა ცოლი თჳსი პროკლა და მივიდა ადგილსა მას, სადა იხსნეს ხორცნი წმიდისა სტეფანესნი, რათამცა დამარხნეს იგინი და არა ჴპოვეს. და ვითარ არა ჴპოვეს სტიროდეს პილატე და ცოლი მისი პროკლა, და იტყოდეს: მოგვიხსენენ ჩუენ წმიდაო სტეფანე და ღირს გუყვენ ჩუენ ქრისტეს ბეჭედსა. და ესე რა სთქვეს, თაყუანის სცეს და წარვიდეს სახიდ თჳსსა, და წუხდეს ორნივე. ხოლო მას ღამესა გამოუჩნდა წმიდა სტეფანე პილატეს და ჰრქუა: ნუ მწუხარე-ხარ ჩემთჳს, რამეთუ იყოს რომელთამე ჟამთა გამოცხადება ჩემი, ვიდრემდის გამოჩნდენ ჩემთანანი მოწამენი; ხოლო შენ ნუ მწუხარე-ხარ, არამედ ნათელი მოიღე, და ჴყო სიხარული ფრიადი სახსენებელსა ჩუენსა ყოველთა ჟამთა, და ამცენ შვილთა შენთა, რათა იცნან სახელი ქრისტესი. მაშინ წარიყვანა პილატე ცოლი თჳსი პროკლა და მივიდა მოციქულისა პეტრესა და ნათელი მოიღო პილატე და ცოლმან მისმან, და სხუათა ვითარ ხუთას-მან კაცმან, რომელთა ჰრწმენა ქრისტესი.

და აღესრულა წმინდა სტეფანე თვესა დეკემბერსა გზასა დღესა პარასკევსა.

და ჟამსა მეშვიდესა ვიხილე წმიდა სტეფანე მე პილატე ზედა ათორმეტთა გარსკულავთა მჯდომარე; ხოლო პირი მისი იყო ვითარცა ნათელი და თავსა მისსა ზედა იყო ჯუარი, და ფრიად ბრწყინვალებითა მისითა ვერ განვიცადეთ სახე მისი; ხოლო

ამის ყოვლის შემდგომად ვიხილენით ეტლნი ცეცხლისანი და ვიხილეთ მათ ზედა მჯდომარე წმიდა სტეფანე, და აღიყუ̂ანეს იგი წინაშე უფლისა ჩუ̂ენისა იესო ქრისტესა. მაშინ ხმა-ჰყავთ ყოვლთა: ჵი, წმინდაო სტეფანე, ქრისტეს ღუ̂თისა წინაშე ითხოვე სოფლისათჳს მშვიდობა, ბრძოლანი დაამშჳდენ, მენავეთა შეეწიე, მეთევზურნი თევზითა განაძღენ, ნაყოფითა ქუ̂ეყანა აღავსე, სნეულნი განკურნენ, ეშმაკეულნი განწმინდენ, ბრმათა ნათელი მიმადლე, განრღვეულნი აღმართენ, ქუ̂რივთა მიხედენ, ობოლთა ექმენ მამა, ჩჩვილნი განზარდენ, სარწმუნოებითა ქორწილი გვირგვინოსან-ჰყავ, რამეთუ დიდ ხარ შენ უფლისა-მიერ, მოწამეთა დასაბამო სტეფანე, შენთა მვედრებელთა ნუ დაგვივიწყებ წინაშე ღუ̂თისა: რამეთუ მისსა შვენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყუ̂ანის-ცემა მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

# ს ი ტ ყ უ ა,

## მომზადებული სათქმელად ქ. ახალ-ციხეს.

ჰსთქუა წინასწარმეტყუელმან ზაქარია, აღვსებულმან სულითა წმიდითა: „კურთხეულ-არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მო-ხედნა და ჰყო ხსნა ერისა თჳსისა,, (ლუკ: ა. მუხ: იზ).

საყვარელნო ძმანო, მკვიდრნო ამის ქალაქისანო; მრავლის ჟა-მითგან სწყუროდა სულსა ჩემსა ხილვაჲ ძუელადვე სახელოვანისა ამის საქართველოს სამეფოს სამთავროისა, და განცდაჲ საწადელი-სა პირისა თქუენისა, და აწ ღირს იჩინა განგებამან მაღლისამან და ბრძანებამან მთავრობისამან, წარმოვლინება ჩემი თქუენდა მო-მართ სასარგებლოთ რათამე საქმეთა-თჳს თქუენთა და მამულისა-თჳს თქუენისა; რომლისათჳსცა მსურს მე დღეს პირველსა ამას ხილვასა და გაცნობასა თქუენსა თანა, მცირედ რამე მოხსენებად თქუენდა და მადლობისა შეწირვად ღუთისა, დიდთა ქუელის-მო-ქმედებათა მისთა თჳს, რომელიცა მოჰფინა მან გურძოსა ამას ზე-და, გამოუთქმელითა მოწყალებითა და კაცთ-მოყუარებითა თჳსითა; რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით და მოიხ-სენა სჯული წმიდა თჳსი. ამისთჳს მეცა წინასწარმეტყუელისა ზა-ქარიას ქებასა, კურთხევასა და მადლობასა შევსწირავ ღმერთსა ხსნი-

ჴსათჳს ჴელისაგან მტერთა და მაჭირვებელთა თქუენთასა და ვიტ-ყჳ:„ კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედ-ნა და ჰყო ჴსნა ერისა თჳსისა, ახლისა ამის ისრაილისა“: და აღუ-დგინა ცხებული თჳსი მაცხოვრად ერსა ამას, რომელი ჴსდა ბნელ-სა შინა და აჩრდილსა სიკუდილისასა ვიდრე აქამომდე, და კრულ-იყო ორისა საუკუნოჲსა ჟამთა განგრძობასა შინა, საკრველითა და წყუდიადითა და მტყუარ-მოციქულისა ბილწისა მაჰმედის მძლავრე-ბისათა: და აწ ხსნილი და განთავისუფლებული განისუენებს აჩრ-დილსა და საფარუელსა ქუეშე ძლიერისა ჴელისა ღუთივ-ცხებული-სა რუსეთის იმპერატორისასა!

სამთავრო ესე ზემოჲსა საქართუელოჲსა სამცხე-საათაბაგოჲ, ცნად არს ყოველთა ისტორიისაგან, რომელ განთქმულ-იყო ძვე-ლადვე და იდიდებოდა ქრისტიანებრივთა კეთილ-მსახურებითა თჳ-სითა, სამხედროთა სიმხნითა და მძლეველობითა თჳსითა, შობითა წმიდათა მამაკაცთათა, მეცნიერთა, სჯულის-მდებელთა, მწიგნობარ-თა და პიიტიკოსთა გუამთათა. რამეთუ ამან ქუეყანამან აღმოაცენ-ნა მრავალნი ღუთივ-სათნონი კაცნი, და სამოქალაქოთა ყოფაქცევა-თა შინა სასარგებლონი, ზრდილნი და წარჩინებულნი. ამან ქუეყა-ნამან აღზარდა ახოვანი იგი ქრისტეს მხედარი მისაილ, სიმხნისა-გამო თჳსისა გობრონად სახელდებული, რომელმან აჩუენა ძლიერი სიმხნე და ჰბრძო უსჯულოსა სპარსსა აბულკასიმს და მოსწყვიდნა მრავალნი მხედრობანი მისნი სიყუარულისათჳს სარწმუნოებისა და მამულისა თჳსისა, და უკანასკნელ შეპყრობილი და ტანჯული იწა-მა ქრისტესთჳს 133-თა აზნაურთა თჳსთა თანა, რომელთა არა უარ-ჰყვეს ქრისტე, და დასთხიეს მათ ერთბამად სისხლი თჳსი მისთჳს და წმიდისა სარწმუნოებისა თჳსისათჳს, რომელთაცა ხსენებასა აღას-რულებს წმიდა ეკლესია ჩუენი წლითი წლად დღესასწაულობით.

აქა იშუნენ ღირსნი იგი და წმიდანი მამანი, გაბრიელ და

იოანე, ხორციელნი ძმანი მკვიდრნი ხაფარისანი, და ევთიმი ძე იოანესი, და გიორგი მთაწმინდელნი, და სხჳანი მრავალნი, რომელთაცა განანათლეს ზოგად ყოველი ქჳეყანა ჩჳენნი წიგნთა თარგმანებითა, და თჳთ მთა იგი ათონისა, მონასტერთა და წმიდათა ეკკლესიათა აღშენებითა და მოღჳაწებითა თჳსითა. აქა იშჳა ბრძენიცა იგი ათაბეგი აღბუღა, რომელისაცა აღწერილნი სამოქალაქონი ჰსჯულნი ჰსჯიდენ ერთა საქართჳელოსათა ვიდრე აქამომდე სიმართლით. ამანვე ქჳეყანამან ჰშჳნა შჳენიერნიცა მესტიხენი, რომელნი აღემატებიან ყოველსა ქართულსა წყობილ-სიტყჳაობასა, და იპოებიან ყოველთა ბაგეთა შინა წერილის მოყჳარეთასა ვითარცა თაიგლი დამატკბობელი. ქჳეყანა ესე ეგოდენ წარჩინებული და გამტკიცებული სარწმუნოებითა ქრისტესითა; ეგოდენ აღყჳავებული ყოველითა სწავლულებითა და სიბრძნითა; ეგოდენ განძლიერებული სამხედროთა და სამოქალაქოთა სჯულითა, საქმითა და ზნეობითა, და ეგოდენ დიდებული ძლიერთა და მხნეთა მეფეთა ათაბაგთა თჳსთათა, მიიწია უკანასკნელ ცოდჳათა ჩჳენთა ძლით ესე ვითარსა სასიკჳდილსა და საგლოველსა უშჳერსა მდგომარეობასა შინა, რომელ შთავარდა იგი ხელთა ავაზაკთასა და იწყლა სასიკჳდილოთა წყლულებითა, ვითარცა იერიქოს მოწყლული, და წარწყმიდნა მან ყოველი სიკეთე, შჳენიერება და სიცოცხლე თჳსი, და მდებარებდა ვიდრე აქამომდე საფლავსა სულ-მყრალობისასა ვითარცა მკჳდარი მოძაგებული: და ესე ვითარისა სიკჳდილისა მისისა მიზეზ იქმნა დეზითა ეშმაკისათა განღვიძებაჲ ბექა ათაბეგისა, რომლისა უკეთურებისა უკეთუ გსურისთ ძმანო უწყებაჲ, მისმინეთ მოთმინებით, და მე გაუწყო თქჳენ შემოკლებით!

რამეთუ ვითარ იგი ძჳელად სამოთხისა სიკეთისა-თჳს იძია შური ეშმაკმან პირჳელსა მამასა ჩჳენსა ადამის ზედა, და მოაკლო იგი შჳენებასა და ფუფუნებასა მისსა; და ესე არა კმა იყო, არამედ

აღჭურაცა ძე მისი კაინ ძმასა თჳსსა აბელის ზედა და მოაკუდევი-
ნა მას იგი: ეგრეთ სიკეთესაცა ზედა ამის ქუეყანისასა მოიხელო-
ვნა ძველი სივერაგე ესე თჳსი, ძველადვე მოძულემან კეთილისამან
და მტერმან კაცისამან ეშმაკმან, და შევიდა იგი ბოროტსა გულსა,
ბუდესა შინა თჳსსა ბექას შინაცა, ბიძასა მანუჩარ ათაბეგისასა, და
აღძრა იგიცა ძმის-წულის მკულელობად, რომელმანცა მოაკუდინა
მანუჩარ მიცემითა სამსალისათა, და თჳთ წარვიდა კოსტანტინუპო-
ლედ წინაშე სულთანისა და მაჰმედიან-იქმნა მუნ უბადრუკი, რომ-
ლისა საჯილდაოთ სახელსდუა მას სულთანმან საფარ-ფაშად ახალცი-
ხისად, და გამოითხოვნა მან მისგან ინგილარნი, მოვიდა წელსა, 1625
და დაიპყრა მან სრულიად საათაბეგოჲ, და იწყო განრყუნა ჰსჯუ-
ლისა და შეიწროება ქრისტიანეთა, და აიძულებდა ერთა მძიმეთა ხარკ-
თა დადებითა უარის-ყოფასა ქრისტესსა, და შეწყნარებასა ბილწი-
სა მაჰმედის სჯულისასა. განკრიხნა მან სამთავროსა ამის ათცამეტ-
თა ეპარხიისა ეკლესიათა, და მონასტერთა სამკაულნი და სიმდიდ-
რენი კეთილ-მსახურთა მეფეთა და მთავართაგან შეწირულნი; შეს-
ცუალნა წმიდანი და დიდებულნი ეკლესიანი და მონასტერნი სი-
ბილწის მეჩითებად, და განჰსდევნნა მღუდელნი და მონაზონნი,
რათა არა განამტკიცებდენ ერთა ქრისტიანობასა ზედა. მაშინ ივლ-
ტოდეს თავადნიცა და აზნაურნი მრავალნი ქართლად და იმერეთად,
და სამღუდელონი საეკლესიოსა სიწმინდით-ურთ, რომელთაცა არა
ენებათ დატევება სარწმუნოებისა თჳსისა: და ესრეთ განრყუნა და
აღაოხრა ნაყოფიერი ქრისტეს ვენახი ესე, ეშუმან მაღნარისამან და
ბრანგუმან მძვინუარემან ბოროტმან ბექამ; რომლისა უსჯულოებისა
კუალსა შეუდგა კუალად ძეცა მისი უსუფ-ფაშა, და ძე ამისი როს-
ტომ ფაშა, რომელმანცა მრავლითა მძლავრებითა და ტანჯვითა აი-
ძულა მაჰმედიანობაჲ ცოლსაცა თჳსსა, და აღადგინეს უმძვინვარესი
დევნულებაჲ ამათ ორთავე ქრისტეანეთა ზედა მკვიდრთა ამის ქუე-

ჟანისათა, საგლოველად ზოგად საქართუჱლოჲსა. გარნა ძალითა ქრისტესითა ვერ უძლეს სრულიად აღხოცაჲ ქრისტიანობისა გერძოსა ამას შინა, და არა სრულად წარმოიცარიელა თსლე მისი, არამედ დაშთენ მტკიცედ და შეურყეველად მრავალნი წმიდასა სარწმუნოებასა ზედა, რომელთაცა ძენი და შთამომავლობანი ხართ თქუჱნ საყუარელნო ძმანო და შვილნო. და ვინადგან უგანასკნელთა ჟამთა ვერღარა გაბედვიდეს შიშითა თურქთათა სამღუდელონი ცხადად აღსრულებასა საღმრთოთა მსახურებათასა, ფარულად აღასრულებდენ, ასწავებდენ და განამტკიცებდენ მამა-პაპათა თქუჱნთა წმიდასა სარწმუნოებასა ზედა აქა დაშთომილნი და ქართლიდამ მამავალნი სამღუდელონი; და უკეთუ განცხადნებოდა საქმე ესე, მაშინ შევარდებოდენ მღუდელნი და მსახურნი ქრისტესნი ფიცხელსა განკითხუასა და სატანჯუჱლსა შინა და მიეცემოდენ მწარესა სიკუდილსა თურქთაგან, რომელი ესე იქმნაცა ჟამსაცა შინა ჩემსა; და ვგონებ რომელ ახსოვდესცა თქუჱნგანთა მრავალთა; ოდესცა ქალაქისა ამის უკეთურმან ფაშამან სიმშიშვილმან მოაშთო ძელსა ზედა წმიდა იგი მღუდელთ-მთავარი ეგნატიოს დესპოტი, და მისთანა დამოკიდებით მღუდელნი ქრისტესნი და მსახურნი წმიდისა ტრაპეზისანი ვასილი და გრიგოლი, და მიიღეს მათცა მღუდელ-მოწამეობისა გჳრგჳნი, და დასდვეს სულნი თჳსნი თქუჱნთჳს და ქრისტეს სიყუარულისათჳს, რომელთაცა წამებასა პატივსცა მთუარემანცა დაბნელებითა თჳსითა მიმწუხრსა მის დღისასა; და ვგონებ რომელ, მღუდელ-მოწამეთა მათ ქუჱრივნი და ობოლნი ვიდრე აქამომდეცა ცოცხალ-არიან მტკივნეულნი სულითა. და აწ საყუარელნო ძმანო, ესე ვითართა მძლავრებათა და ძვირ-სილულებათაგან ხსნისა და განთავისუფლებისა წილ, ვითარი მადლობა, თაყუანის-ცემა და კურთხევა თანა გუაქს ჩუჱნ შეწირუად ღუთისა ჩუჱნისა! გარნა ესე; „კურთხეულ-არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედნა და ჰყო ხსნა ერისა თჳსისა.“

და ესრეთ მართლ-მადიდებელნო ძველნო ქართუჱლნო, მკუდრნო მემამულენო ძველისა ამის სამთავროჲსანო, იხარებს აწ ძველი სამეფო ქართლისა, უხუცესისა ამის სამთავროჲსა თჳსისა თჳს, ვინადგან წარტაცებით წარყუანებული შორსა სოფელსა, რომელ-არს სხუა ცხოვრება და ქცეულება, და განმაბნეველი მამულისა სიმდიდრისა თჳსისა, ესე იგი, კეთილ-მსახურებისა და ღუთის-მეცნიერებისა, და ქრისტეანებრივისა წესისაგან განშიშვლებული, და უცხოთა მოქალაქეთა სიყმილით მმონები, მოიქცა კუალად მამულად თჳსად, და დაეგო იგი ზეციერსა მამასა თჳსსა, და მამაცა მისი სახიერი და ძვირუხსენებელი შემოსს სიშიშვლესა მისსა, პორფირითა და მოწყულითა, პირველისა დიდებისა მისისათა, და დამგებელი მდიდრისა ტრაპეზისა, ესე იგი, უხრწნელისა საზრდელისა, იხარებს და ღაღადებს: ,,ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმენდულ-იყო და იპოვა!''

დღესასწაულობს ქართლის ქალაქის დედოფალიცა ტფილისი, კუალად პოვნისათჳს ტყვე ქმნილისა საყუარელისა ამის ასულისა თჳსისა სეფე ქალაქის ახალ-ციხისა, რომელი განძარცვილ იყო წარმტყუჱნველთა მისთა მიერ, ყოველთა სასძლოთა სამკაულთა და მამა-პაპეულთა მზითევთა თჳსთაგან, და ქურივად დატევებულ ყოველთა შუჱნიერებათა და სულიერთა სათნოებათაგან, რომელი ესე ქმნილ-იყო ქუაბ ავაზაკთა და ბუდედ მეკობრეთა და მტაცებელთა და ქართლისა ნატყუჱნავთა სავაჭროდ; და ბრწყინუალესა ამას შუა-დღესა ბედნიერებისა თჳსისასა განფრთხობილი აღსდგების და შეიმკუჱბის კუალად სასძლოთა სამოსლითა და სამკაულითა, და განშუჱნდების პირუჱლითავე შუჱნიერებითა თჳსითა, და მართლ-ცნობიერ იქმნების სათნოებათა მიერ, რომლისათჳს მოუძღუანებს დედა ტფილისი ძჳრ-ფასთა ძღუჱნთა სულიერთა და ხორციელთა მოქალაქეთა თჳსთა მიერ, ავლინებს-რა მათ უშიშრად გზასა მშვი-

დობისასა ტვირთებით, და განუახლებს მით დედობრივსა კეთილ-მოწლეობასა და ნათესაობითსა სიყუ̂არულსა და ერთობასა, და იხსა-რებს, ვინადგან არღარავინ არს მაჭირვებელ მისა, არცა მძლავრე-ბელ და არცა მტაცებელ და შემაწუხებელ, რომლისათჳსცა მადლო-ბისა შემწირველი ღაღადებს ღ̂თისადმი: „კურთხეულ-არს უფალი „ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედნა და ჰყო ხსნა ერისა თჳსისა!“

და ესრეთ, ვინადგან ესრეთ წყალობა ჰყო ღმრთმან, და მო-იხსენა ჰსჯული წმიდა თჳსი, და ღ̂თის-მსახურება ძველთა მეფეთა და მთავართა ამის ადგილისათა, რომელთა კეთილ-მსახურებასა ხმა მაღლად ქადაგებენ დღესაც სამთავროსა ამის ადგილთა შინა, მათ მიერ აღშენებულნი დიდ-შუ̂ენიერნი ურიცხვნი ეკკლესიანი და მონა-სტერნი, რომელნი იხილვებიან აწ უშვერსა და საგლოველსა მდგო-მარეობასა შინა გაუქმებულნი, ამისთჳს საიმედო არს მსწრაფელ მოლოდებადცა, რომელ მოვარველობასა ქუ̂ეშე კეთილ-მსახურისა და მფრუნველისა როსსიის მთავრობისასა მოიპოვებს ქუ̂ეყანა ესე პირ-ველსავე დიდებასა და სიკეთესა თჳსსა; მოიგებს წინაპართა მამა-პა-პათა თჳსთა მართლ-მადიდებლობასა და სიყუ̂არულსა ღ̂თისა თჳ-სისასა, განახლდებიან და განშუ̂ენდებიან კუ̂ალად დიდებულნი იგი ქრისტეს ეკკლესიანი, განმრავლდებიან მათ შინა მსახურნი წმიდისა ტრაპეზისანი, დაეწესებიან სასწავლებელნი, რომელთა შინა აღიზ-რდებიან ძენი თქუ̂ენნი, მსგავსნი პირველთა მამათა თჳსთანი, მო-ბაძავნი წინაპართა ღირსთა, ბრძენთა, ძლიერთა, ახოვანთა, გულო-ვანთა და ყოველთა სათნოებიანთა და ზნეობით სრულთა კაცთანი და მიიღებს პირველსავე აღყუ̂ავებასა და ბედნიერებასა თჳსსა ქუ̂ე-ყანა ესე, რომელიცა აქუ̂ნდა ჟამთა შინა პირველთა მეპატრონეთა თჳსთა ძლიერთა მეფეთა ბაგრატისა, დავითისა, თამარისა და სხუ̂ა-თა ბრძენთა და ღ̂თის-მოყუ̂არეთა მეფეთა თჳსთასა, და იქმნების

დღესასწაულობით მღაღადებელ: „კურთხეულ-არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედნა და ჰყო ხსნა ერისა თჳსისა:“

გარნა თქუენ ძმანო, შვილნო წმიდისა ემბაზისანო! უკეთუ გსურისთ ყოველთა მათ ზემოხსენებულთა კეთილთა მიმთხუევა, და პირუელსავე ბედნიერებასა შინა აღყუანებას ქუეყანისა ამის თქუენისა, თანა გაქსთ რათა დაიცუათ მართლ-მადიდებელი ქრისტეს სარწმუნოება წმიდად და უბიწოდ, ეგრეთ ვითარ იგი იშვით თქუენ წმიდისა ემბაზისაგან უბიწოდ, ვინადგან ლიტონად და შიშულად ქრისტეანედ წოდებაჲ არა რასამე გარგებსთ თქუენ, არამედ უფროს დასასჯელ ექმნებისთ იგი მათ, რომელნი უკეთუ თჳთ საქმით არა აღასრულებენ და არა დაამტკიცებენ ჭეშმარიტსა ქრისტიანობასა თჳსსა: რამეთუ იტყჳს მოციქული ვითარმედ სარწმუნოება თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არსო (იაკ. 2. 20). და რაჲმე არს თჳთ საქმით აღსრულება და დამტკიცება ჭეშმარიტისა ქრისტეს სარწმუნოებისა? ესე არს, რომელსაცა თჳთ ქრისტე გამცნებს უტყუელითა პირითა თჳსითა წმიდასა სახარებასა შინა: ვითარმედ „ნუ კაც-კლავ, ნუ იმრუშებ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა-ჰსწამებ, და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (მატ. 19. 19). სიყუარული მოყუსისა არს, არა თუ მხოლოდ ნათესავთა, მეგობართა და კეთილის-მყოფელთა ჩუენთა, არამედ ზოგად ყოველთა კაცთა, და თჳთ მტერთა და მოძულეთაცა ჩუენთა, და კნინღა წარმართთა და ურწმუნოთაცა, ვინადგან იგინიცა მსგავს ჩუენდა ხატად ღუთისა დაბადებულნი მოყუას ჩუენდა არიან, დაღათუ შეცთომილ-არიან იგინი სარწმუნოებასა და ღუთის-მცნობელობასა შინა; ამისთჳს უმეტესად თანა-გუაძს სიყუარული, და გულითა შემუსრვილება და შევრდომით ვედრება ღუთისა, რათა ხატად ღუთისა შექმნული მოეგოს ცნობასა შემოქმედისა თჳსისასა, „მხოლო თუ მოსცეს ღმერთმან გულის-ხმის-ყოფა და განიფრთხოს საცთურისაგან“, სიტყჳსა-მებრ მოციქულისა.

და მოვიდეს ნათელსა შინა ღმრთის-მეცნიერებისასა,,! და ესრეთ, უკე-
თუ უწყი საყუარელო, ძმა შენი, მეზობელთა შენთაგანი ვინმე, რო-
მელ კუალად ცთომასა შინა ბილწისა მაჰმედიანობისასა იპოვებოდეს,
პირველად შეუვრდი ღმერთსა, და ევედრე მისთჳს შემუსრვილითა
გულითა, რათა განანათლოს გული და გონება მისი მოქცევად გზა-
სა ჭეშმარიტებისასა, და გამოისახოს მის შორის ქრისტე; და მე-
რმე სადაცა შეხუდებოდე მას ჟამსა მარჯუჱსა და ადგილსა, საიდუ-
მლოდ ამცნებდე მას სიყუარულით და მეგობრობით ამხილებდე
ცთომასა მისსა, ასწავებდე, აწვევდე და ევედრებოდე დატევებასა ურ-
წმუნოებისა თჳსისასა, და შეწყნარებასა წინაპართა მამა-პაპათა თჳს-
თა მართლისა და წმიდისა ქრისტეს სარწმუნოებისასა, და მაშინ
იქმნები მცნებისა ამის აღმასრულებელ, შეიყუარო მოყუასი შენი ვი-
თარცა თავი თჳსი, და საქმით დამამტკიცებელ ჭეშმარიტისა ქრი-
სტიანობისა შენისა. კუალად სიყუარული მოყუსისა არს, რათა არა
ცილსა ვსწამებდეთ ვისმე და არა შევასმენდეთ მთავრობათა მიმართ
და ხელმწიფებათა შურით და მტერობით სარგებლობისა და პატი-
ვის-მოყუარებისა ჩუჱნისათჳს, და არა რასამე ძვირსა უყოფდეთ
ვისმე, ვითარ იგი ჴყო ახალმან კაინ, ძმის მკულელმან ბექამ რო-
მელმან პატივის-მოყუარებისა თჳსისა გამო წარწყმიდნა თჳსთანა
ეგოდენ ქრისტეს მოყუარე ერი მართლ-მადიდებელისა ამის სამ-
თავროჲსა. ნუ მოჴკლავ ძმასა შენსა, ნუ თუ ოდენ მახვილით, ნუ-
ცალა ენით და ნაცილის შესმენით და შურით, რათა არა შური
იძიოს შენ ზედა მართლ-მსაჯულებამან ღმრთისამან და იზღვიო შენ,
ამასცა და საუკუნესაცა შინა ცხოვრებასა; რამეთუ იტყვის მოციქული:
‘‘მიაგოს უფალმან კაცად კაცადსა საქმეთა მათთა ებრ,,. ნუცა გული გით-
ქუამს, ქრისტიანეო, სხვისა სიმდიდრისა, ნუცა ცოლისა, ნუცა მამუ-
ლისა და ყოვლისა საკუთრებისა მისისათჳს, ვითარცა გამცნებს
ღმერთი, ნუცა მისტაცებ ვისმე რასამე მძლავრებით, რათა არა წა-

ოწყმიდნე შენნიცა საკუთრებანი, არამედ კმა იქმენ მით, რაჲცა მო-
გცა შენ უფალმან და რაჲცა არა გნებავს შენ სხვისაგან ბოროტისა რაჲსამე შემთხუევა, ნუცა შენ შეამთხუევ სხუასა, და ამით დაამტკიცებ ჭეშმარიტებასა ქრისტიანობასა შენსა. და აღასრულებ მცნებასა მას: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. და უკეთუ ვერ შემძლებელ-ხარ სათნოებათა ამათ აღსრულებად და შეყუარებად მოყუსისა შენისა, ვითარ ძალ-გიძს შეყუარება ღმრთისა, და ვითარ აღასრულებ დიდსა და პირველსა ამას მცნებასა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი"! რამეთუ იტყვის მქადაგებელი სიყუარულისა, და თჳთ საყუარელი, და მკერდს-მიყრდნობილი ქრისტესი, ქალწულ-მახარებელი და ღმრთის-მეტყუელი იოანე: „უკეთუ ვინმე სთქუას ვითარმედ, მიყუარს ღმერთი, და ძმა თჳსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმა თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უძს შეყუარებად!" აწ ჭეშმარიტად ვერ შემძლებელ-ხარ ღირსად ქრისტიანედ წოდებითა სათნო-ყოფად ღმრთისა, უკეთუ არა დაამტკიცებ ქრისტიანობასა შენსა თჳთ აღსრულებითა კეთილთა საქმეთათა!

ამასთანა თანამდებ ვართ, საყუარელნო ძმანო და შვილნო, ვინაჲთგან მწირ-ვართ ჩუენ ყოველნი სოფელსა ამას შინა, და წარმავალ ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი, რათა მარადის განმზადებულ ვიყუნეთ განსლვად საწუთოისა ამის სოფლისაგან და დამკვიდრებად დაუსრულებელთა საუკუნეთა შინა; და ესე არს განმზადებულება შენი, რათა ვჰრიდეთ და საუფლოთა დღეთა შინა, და მოცალებულ-საცა ჟამსა, ვიდოდე ეკკლესიასა შინა და ისმენდე ლოცვათა და ვედრებათა ღმრთისა მიმართ, და ითხოვდე მისგან ცოდვათა მოტევებასა და ცხოვნებასა სულისა შენისასა. და ეგრეთვე სადაცა

იყო, ანუ თუ მუშაკობდე, მარადის ილოცვიდე გონებით, ესე იგი. მარადის გაქუნდეს შიში ღჳთისა და ხსენება სიკუდილისა გონებასა შინა შენსა, და მით იწყებდე ყოველსა-საქმესა შენსა, რათა არა წარგიპაროს შენ სოფლისა ამის მრავალ-სახემან ზრუნვამან და საცთურმან, და არა განგაშოროს მისგან. ეგრეთვე თანა-გაძს წლითი წლად განწმენდაჲ თავისა შენისა აღსარებითა და სინანულითა, და ღირსებით ზიარება ყოვლად-წმიდათა საიდუმლოთა ქრისტესთა, რამეთუ წმიდითა ზიარებითა შეერთდები შენ ქრისტესსა, ვინადგან თჳთ ბრძანებს ქრისტე: ,,რომელი სჭამდეს კორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა ჰგიეს და მე მისთანა,,. ამას თანა თანა-გაძს წმიდად დაცვაჲ ეკკლესიისაგან მოცემულთა კანონთა და უქმეთა დღეთა, გლახაკთა მოწყალება, მშიერთა გამოზრდა, მიშველთა შემოსა, უცხოთა შეწყნარება, ქჳრივთა და ობოლთა შეწევნა, და ყოველთა შეჭირვებულთა და მიმძლავრებულთა, რავდენცა ძალ-გედვას ხელის აღპყრობა და ნუგეშინის-ცემა სიტყვით თუ საქმით, ვითარცა გიბრძანებს თჳთ უფალი! და უმეტესად თანამდებ ხარ რათა ევლტოდე უქმობასა და მცონარებასა, ვითარცა მშობელსა ყოვლისა ბოროტისასა, და პატიოსნითა მუშაკობითა და შრომითა შენითა მოირეწდე საზრდელსა და სასმარსა შენსა, და არა სხჳსსა მისტაცებდე, რამეთუ დასაბამსა შინავე უბრძანა ღმერთმან ადამს მამასა ჩუენსა მუშაკობად: ,,ოფლითა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა,,. და ესე ვითარითა განმზადებულებითა და სათნოებაებითა განვალთ რა საწუთოსა ამის სოფლისაგან და წარვსდგებით წინაშე ქრისტესა, მაშინ ვისმენთ საწადელსა მას ხმასა მისგან: ,,მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაო,,. ნუ მცონარ და უდებ იქმნებით ქრისტიანენო, სასარგებლოთა საქმეთა თქუენთა თჳს, რამეთუ მცონარებისა მიერ იშუებიან სიგლახაკენი,

და სიგლახაკეს შეუდგებიან პარვანი და ავაზაკობანი, მტაცებლობანი, ურცხვინოებანი, ტყუილნი, კაცის-კლვანი, და უკანასკნელ წარწყმენდა სულისა და საუკუნო სატანჯველი. ხოლო სიმხნისა და მუშაკობისაგან აღესრულებიან ყოველნი ღ̂ჳთის სათნონი საქმენი, დასცხრებიან პარვანი და ავაზაკობანი, აღივსებიან საუნჯენი საყოფითა და სიმდიდრითა, აღშენდებიან ქალაქნი, განბრწყინდებიან წმიდანი ეკლესიანი, გამოიზრდებიან ქ̂ჳრივნი და ობოლნი, შემოვალს სწავლულება, მოპოების ხელოვნება, განმრავლდების ვაჭრობა, აღიხოცების სიგლახაკე, განქარდების მცონარება და აღორძინდების სიმხნე და გულს-მოდგინება, პატიოსნებითი ცხოვრება და აღსრულება მცნებათა ღ̂ჳთისათა, და მცნებათა აღსრულებითა სათნო-ყოფა ღ̂ჳთისა, და სათნო-ყოფითა ღ̂ჳთისათა საუკუნო ცხოვრება და დიდება დაუსრულებელი!

ამის ყოვლისა სათნოებისა და კეთილთა საქმეთა ადვილად შემძლებელ-ხარ, საყვარელო ძმაო, აღსრულებად აწინდელსა ამას ცხოვრებასა შინა შენსა, უკეთუ გექმნების სიმხნე და გულს-მოდგინება და მტკიცე სასოება შემოქმედსა შენსა ზედა, და ერთგულებითი მონება, რამეთუ ხსნილ-ხარ შენ ძლიერითა მარჯვენითა მისითა ეგჳპტურის მონებისა და კირთებისაგან უმეტეს ისრაილთასა, რამეთუ ისრაილთა აჭირვებდეს მეგჳპტელნი მუშაკობითა თიხისა და ალიზისათა, ხოლო შენ მრავალ-სახეთა მძლავრებათა და კირთებათა თანა, გაიძულებდენ დატევებასაცა ღ̂ჳთის შენისასა მოწაფენი ცრუ-წინასწარმეტყველისა ბილწისა მაჰმედისანი, რომლითაცა წარწყმინდეს წინაპარნი ნათესავნი თქ̂ჳენნი საუკუნოთა წარწყმენდითა. ამისთჳს მადლობდე დაუცხრომელად მხსნელსა შენსა წარწყმენდისა ამისაგან; ევედრებოდე დღეთა სიგრძისა და უმეტესად ამაღლებისა და განძლიერებისათჳს ღ̂ჳთივ-გჳრგჳნოსნისა მართლ-მადიდებელისა ხელმწიფისა შენისა, და მძლეველობისათჳს ქრისტეს მოყუარისა

მხედრობისა მისისა, და სამოქალაქოთა მსაჯულთა და მმართველო-ბათა მისთა თჳს, რომელნი იღუწიან კეთილ-დღეობისა, განსუე-ნებისა და მშვიდობით ცხოვრებისა თქუენისათჳს, ვითარცა მამანი შვილთა თჳსთა თჳს, და ესრეთ დასტკბე შენ ყოველთა კეთილითა მამულსა შინა შენსა, ვითარცა ეგჳპტით ხსნილი ისრაილი ქუეყა-ნასა აღთქმისასა.

ხოლო შენ, მამაო ზეციერო! გარდამოიხილე ზეცით და იხი-ლე მცირე ესე სიტყვიერი სამწყსო შენი, დამთომილი მგელთა წარ-ტაცებისაგან წმინდასა ამას ბაგსა შინა შენსა, და აკურთხენ ესენი მარჯუენითა შენითა მტკიცითა, განამრავლენ და აღაორძინე, და-ნერგე სარწმუნოება და სიყუარული ქრისტჱს ძისა შენისა და ღუ-თისა ჩუენისა მათ შორის, შეზღუდენ ესენი ნიშითა ცხოველს მყოფელისა ჯუარისა მისისათა დაცუად ყოველთა მანქანებათა და სატანურთაგან ხილულთა და უხილავთა მტერთასა, განანათლენ გუ-ლნი და გონებანი ამათნი ქმნად წმინდათა მცნებათა შენთა, შთა-უთხრენ გულთა შინა მათთა ღმობიერება, სიყუარული და გულს-მოდგინება ძმათა თჳსთა თჳს, რომელი დამთომილ არიან გარე ბაგისა ამის შენისა სიბნელესა შინა ურწმუნოებისა და უმეცრებისასა, რომელ გევედრებოდენ და წადიერებდენ მოქცევასა მათსა შენდა მომართ ჭეშმარიტისა ღუთისა მათისა, რათა ხსნისა და მოქცევისა მათისა თჳსცა იხარებდენ ანგელოსნი ცათა შინა, და ერთბამად მათთანა გაქებდენ, გაკურთხევდენ, ადიდებდენ და იტყოდენ იგინიცა. „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედნა და ჰყო ხსნა ერისა თჳსისა. ამინ.

არს. ტ.....

## ს ი ტ ყ ჳ ა,

## შობისათჳს უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესა.

---

დიდ-არს ღჳთის-მსახურებისა იგი საიდუმლო,
ღმერთი გამოსჩნდა ხორცითა (ა. ტიმ. 3. 16).

საყუარელნო ქრისტიანენო! ღმერთმან ყოვლისა შემოქმედმან შექმნა კაცი უკჳდავად, უხრწნელად და განშორებულად ყოველთაგან ცოდჳათა და უსჯულოებათა, და ჰყო იგი მეუფედ ყოვლისა ქჳე-ყანისა, ხოლო მადლით ძედ თჳსად, რომელი ჰსტკბებოდა უკჳდავი-თა ცხოვრებითა ანგელოსებრივითა, რომლისათჳს იტყჳს პორფი-როსანი ფსალმუნთ-მგალობელი დავით: დ ა ა კ ლ ე ი გ ი მ ც ი რ ე დ რ ა ი მ ე ა ნ გ ე ლ ო ს თ ა, დ ი დ ე ბ ი თ ა დ ა პ ა ტ ი ვ ი თ ა გ ჳ ი რ-გ ჳ ი ნ ო ს ა ნ ჰ ყ ა ვ ი გ ი. (ფსლ. 8. 5). გარნა მან მიუშჳა მტერი მომაცთუნებელად თვისად, და მით დაამძნელა გონება თჳსი, დაჰ-კარგა ნება თავისუფალი, რომლითა ემსგავსებოდა ღმერთსა, და თჳთ კაცობრიობაცა თჳსი, შთავარდა იგი უფლებასა ქჳეშე ბნელ-თა სულთასა, რომლისაგამო ყოველთა ხელით-წერილი ცოდვისა დაგვეწესა, და მით შევექმენით მონად ეშმაკსა, რომელი გვაჭირვებ-და ჩჳენ ვალისა მისთჳს, და მიგვსდიდა თანანადებსა მას სასჯელ-სა, რომლითა თანა გჳედჳა, და ესე-ვითარი სასხარი აღხოცვი-სათჳს ხელის-წერილისა ცოდჳათა ჩჳენთასა და ცხოვნებაჲ ჩჳენი.

კაცსა უკუე ვერ ძალ-ედვა, ვინათგან თანამდებ იყო თანანადებსა მას ცოდვისასა, ანგელოსი მოსყიდვად კაცებისა ვერ შემძლებელ-იყო, რამეთუ არა აქუნდა მას ესე-ვითარი სასყარი, და ამისთჳს უცოდველსა უკუე თანაედვა ცოდვილთათჳს სიკუდილი, რომლისათჳს მაცხოვარმან და მხსნელმან ჩუენმან უფალმან იესო ქრისტემან, დაიმდაბლა რა თავი თჳსი ვიდრე სიკუდილადმდე, განახლებისა, განცხოველებისა და განწმედისა-თჳს კაცთა ნათესავისა ყოველთა ცოდვათაგან, თანა-არსმან მამისა და სულისა წმიდისამან, განკაცნა ქალწულისა მარიამისაგან და იშვა ბეთლემს ჰურიასტანისასა, ვითარცა წერილ-არს წინასწარმეტყუელისა მიერ (მათ. 2, 5).

და ესრეთ მსმენელნო! მოვაქციოთ ჯეროვანი ყურად-ღებაჲ ჩუენი, თუ რა სისარული მოართუა სოფელსა შობამან უფლისამან, და რაჲ არს საიდუმლო ღუთის-მსახურებისა, წარმოთქმული პავლე მოციქულისა-მიერ: რამეთუ ღმერთი გამოჩნდა, ხორციითა და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოსთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა.

შობამან მაცხოვარისა ჩუენისა იესო ქრისტესმან, ვითარცა უგალობს წმიდა ეკკლესია, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, და ყოველი დაბადებული განახლებად მოიყვანა, რამეთუ იშვა მხოლოდ-შობილი ძე და სიტყუა ღუთისა, რომლისა-მიერ შეიქმნა ყოველი ხილული და უხილავი, ვინათგან სიტყუა მამისა უქცეველად განხორციელდა სულისაგან წმიდისა და ქალწულისაგან ღუთის-მშობელისა, და შუამდგომელად ღუთისა და კაცთა იწოდა, ხოლო კაცთ-მოყუარე და სახიერი იგი არა თუ ნებით და გულის-თქმით და შეერთებითა მამაკაცისათა უხრწნელსა შობასა ქალწულისასა მუცლად ღებულ-იქმნა, არამედ სულისაგან წმიდისა მსგავსად პირველისა ადამის დაბადებისა, რომელი ექმნა მორჩილ მამასა თჳსსა ჩუენთჳს და ურჩებისა ჩუენისა განკურნებისათჳს.

ესრეთ სიტყჳსა ღჳთისა დაემკვიდრა საშოსა ქალწულისასა, გა-
რემოუწერელად თჳსითა არსებითა და უბიწოთაგან სისხლთა ქალ-
წულისათა ხორცნი სულიერნი და სული სიტყჳერი და გონიერი
შეიმოსა და დასაბამი მიიღო კაცობრიობისა ბუნებისა; ამის თჳს
დღეს მორწმუნენი ვდღესასწაულობთ და ვადიდებთ ქრისტეს შობა-
სა და მასთანავე აღვიარებთ ქრისტესა ღმერთ-მამაკაცსა ღჳთად
სრულად და კაცად სრულად, და ეგრეთვე აღვიარებთ ჭეშმარიტად
ღჳთის-მშობლად წმიდასა ქალწულსა მარიამს, რამეთუ ღმერთმან
მიიღო ხატი ჩჳენი და განაახლა იგი ხორც-შესხმითა თჳსითა, და
ყოვლით-ურთ შეიმოსა ბუნება ჩჳენი, თვინიერ ცოდვისა, და მქდ
ღჳთისა და თანაზიარად სუფევისა გამოჩნდა, რომლითა შუა-კედე-
ლი ზღუდისა მის მძნელისა დაარღვივა და მტერობა იგი დაიხსნა,
სიხარული დიდი მოჰფინა ყოველსა დაბადებულსა, ვინათგან ღმერ-
თი კაც-იქმნა და ცა და ქჳეყანა შეერთნეს, ანგელოსნი მწყემსთა-
თანა განათლდნენ და ხარება დიდი ეხარათ მათ, რამეთუ სახიერი
იხილეს, ვითარცა კრავი უბიწო, შობილი ქჳაბსა შინა, ხოლო მწყემ-
სნი იგი შეშინდეს საკვირველისა მის ხილვისაგან, გარნა ანგელოსთა
სიმრავლენი განუქარვებდნენ რა შიშსა მას, ერთად მათთანა აქებ-
დნენ და ადიდებდნენ ღმერთსა მეტყჳელნი! „დიდება მაღალთა
შინა ღმერთსა, ქჳეყანასა ზედა მშვიდობა და
კაცთა შორის სათნოება (ლუკ. 2, 14). საშინელითა ხილ-
ვითა და სმენითა განკვირვებულნი იგი მწყემსნი, ღამითვე წარვი-
დენ ბეთლემად მითხრობად ამა საკვირველებისა თჳსთა და მეცნი-
ერთადმი. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყჳანი ესე
და დაედჳა გულსა თჳსსა. არა მწყემსთა მათ ხილვანი და
სმენანი, არამედ ტაძარსა შინა ხარება იგი ანგელოსისა და მუც-
ლად-ღება უთესლოთ და შობა იგი ულმობელი და შემდგომად
შობისა ქალწულება. აჰა ვითარ საკვირველ და გონებისა ჩჳენისა-

თჳს მიუწთომელ-არს, საყჳარელითა, საიდუმლოთა შობა ქალწულისაგან, რომელმან მიდგომილება ვერ აგრძნა და შობისა სალმობათა თანაწარხდა და დედად მეუფისა გამოჩნდა, ვინათგან ყოველი მიდგომილება განხრწნის ქალწულებასა და შობა მოუწევს ტკივილთა, შემსგავსებულად პატიჟისა მის წყევისასა, რომლისათჳს ღმერთი ეტყჳს: *ვითარმედ მწუხარებით შჷნე შვილნი შენნი.* ხოლო ესე მხოლო პირველ შობისა ეგო ქალწულად და შემდგომ შობისა დაადგრა ქალწულადვე, ვინადგან ღმერთი იყო, რომელი იგი იშჷა მისგან, და ესე არს უღმობელი დედა და მხევალი მისგან შობილისა, რომელმან უზესთაეს ბუნებასა და სიტყჳსა შჷა და სახვევლითა შეხვია და ბაგასა პირუტყჳთასა მიაწვინა. აჰა საკვირველი საიდუმლო, ვითარმედ ღმერთი, საყდართა ზედა ქერაბიმთასა მჯდომარე, ბაგასა პირუტყვთასა მიიწვინების, რათა კაცნი პირუტყჳქმნილნი ღჳთის-მეტყჳელად მოიყვანოს, მპყრობელი ცათა და ქჳეყანათა სახვეველითა შეიხვევის, და გამომზრდელი ყოველთა სძითა გამოიზრდების, და სიხარული ესე ყოველსა სოფელსა ეხარების, ვითარცა მოგვითხრობს სამღრთო მახარებელი: *ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ურიასტანისასა, დღეთა იროდი მეფისათა, აჰა მოგჳნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად.* და რაჟამს მწყემსთა ეხარათ სიხარული იგი დიდი ანგელოსთაგან, ვითარცა წინათ ვსთქვი და წარვიდნენ ბეთლემად მითხრობად ყოველთა რა იგი იხილეს და ესმათ, მაშინ აღმობრწყინდა ვარსკვლავი აღმოსავლეთით, და მოგვნი იგი წარმოგზავნილნი მძღვნითა დიდითა სპარსთა მეფისაგან, მოვიდნენ აღმოსავლეთით იერუსალიმად, წინამძღჳარებითა ვარსკვლავისათა, თაყვანის-ცემად შობილისა მის ყრმისა იესოსა, რომელნი გამოიძიებდნენ და იტყოდნენ: *სადა არს, რომელი იგი იშჷა მეუფე ურიათა, რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავა-*

ლით და მოვედით თაყვანის-ცემად მისსა. და ვარსკვ-ლავი იგი არა ვარსკვლავთაგანი იყო სამყაროსათანი, არამედ ზე-გარდამო მოვლინებული, უფროსად დამხსნელი საცთურისა მის ვარსკვლავთ-მრიცხველობისა და განმაქარვებელი ბნელისა მის, ნე-ლიად წინა უძღოდა მოგჳთა მათ ძალისაებრ სვლისა მათისა, ოდეს-მე სდგებოდა და ოდესმე გამოსჩნდებოდა მოგზაჳრობასა შინა მათ-სა, რაოდენსამე უკჳე დღესა სპარსეთით ვიდრე იერუსალიმამდე, და ესე ოდენ ბრწყინვიდა, ვიდრე ნათელსაცა და შარავანდედსა მზი-სასა დაჰფარვიდა, რომელი მიუძღჳა ბეთლემად ქჳაბსა შინა და მათ მოგჳთა სასწაულთა უჩვენებდა, და რა აღასრულა მან ვარსკვლავმან სამსახური თჳსი, მიეფარა მათ მოგჳთაგან. ხოლო მოგჳთა მათ რა იხილეს საკვირველი დიდებული და წარსდგნენ ჩჩჳლისა მის ახ-ლისა პირველ-საუკუნეთა ღჳთისადმი, შეუჳსეულად აღივსნენ სიხა-რულითა დიდითა და სიტკბოებითა ნათლისათა, რომელ მიემთხ-ვნენ, რომელსა ეძიებდნენ, ხოლო უქორწინებელისა მის და ყოვ-ლად-უხრწნელისა დედისა ხილვა უზეშთაეს იყო, რომელ აღვსებულ-იყო იგიცა მადლითა მით და ნათლითა მისგან შობილისათა, ამას ყოველთა სასწაულთა დიდებულებათაგან, მოგჳნი იგი გულ-სავსე ქმნილნი იხარებდნენ და მადლობდნენ უფალსა, ვითარმედ მეუფე-სა და ღმერთსა შევრდომით თაყვანის-ჰსცეს და ძღვენი პატიოსანი შესწირეს: ოქრო, გუნდრუკი და მური, ვითარცა მეფესა და ღმერთ-სა და ჩუენთჳს განკაცებულსა და სიკჳდილად მიმავალსა, ხოლო ჩუენ მის მიერ უკჳდავება მოვიღეთ, ვინათგან მოგჳთაცა ესე ვითა-რისა ძღვნისა შეწირვაჲ სულისაგან წმიდისა ეუწყათ, რათა ჩუენ სახე გვექმნას სულიერთა ძღვენთა შეწირვისა,—რათა შევსწირვიდეთ კეთილსა მოქალაქობასა და სიწმიდესა, ვ ი თ ა რ ც ა ო ქ რ ო ს ა, ხო-ლო გულის-ხმის-ყოფასა და ხედვისა სულიერსა, ვ ი თ ა რ ც ა გ უ ნ-დ რ უ კ ს ა, და მოკვდინებასა ვნებათა და ასოთათა მათ ხორციელ-

თასა, ვითარცა მურხა, რომლისაგან გვექმნების უვნებლობა და ცათა სასუფეველი. და მაშინ აღესრულებოდა სიტყუანი ყოვლად-წმიდისა ღჳთის-მშობლისანი თქმულნი წინათვე: რამეთუ აჰა ესე რა, ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი. ჭეშმარიტად მაშინვე იწყეს დიდებულებათა მისთა გამოცხადებად, რომელ მოგჳნიცა ქებასა ოდენ შესხმიდნენ, რომელთა ჩვენებით ეუწყათ ანგელოსისა-მიერ არა მიქცევად უკჳჱ იროდისადმი, არამედ სხჳთ გზით წარსვლად, ვინათგან იროდი ეძიებდა ჟამსა მას ქრისტეს შობისასა, არა თუ რათამცა პატივი ჰსცეს, ვითარცა აღუთქმიდა იგი მოგჳთა მათ, არამედ რათამცა წარსწყმიდოს იგი. ხოლო ზეგარდამო განგებულებამან, ვითარცა მოგვითხრობს წერილი ღირსისა მამისა იოანე დამასკელისა, არა მოსცა მძლავრსა მას იროდის მარჯვე დრო გამოკითხვისათჳს ყრმისა მის ახლად-შობილისა, „ვითარმედ შფოთი დიდი ეწია სახლსა მას იროდისასა, რომელმანცა მოკლა ცოლი თჳსი, და ვინათგან ძეთაც მოკვლაჲ არა ხელეწიფებოდა მას, თჳნიერ ბრძანებისა კეისრისა, რომლისაგან მიიღო ბრძანებაჲ მათზედაცა ხელმწიფება და მოსწყვიდა ძენი თჳსნი". მას ჟამსა შინა განვლო დრომან და მით იყო განერა საცთურსა მას მძლავრისა იროდისაგან, რომელმანცა შემდგომად რა ჰსცნა განკიცხვა მოგვთაგან და ჟამი შობისა უფლისა, განრისხნა და მოსწყვიდნა მრავალნი უმანკონი ყრმანი, რომელნი იყჳნეს ბეთლემს.

ესრეთ მდიდარმან მან მეუფემან ქრისტემან მოსრულმან სოფლად, სიგლახაკე გამოირჩია, ცანი ცათანი ქჳაბსა მცირესა და უნდოსა ტალავარსა ამსგავსა, ძაძასა მას ბრწყინვალებაჲ იგი ვარსკვლავსა და დიდებას-მეტყჳჱლებაჲ ანგელოსთა, სასვეველთა მათ შეურაცხთა, მღვენი იგი და თაყჳანის-ცემა მოგვთა, და შეწყნარება ყოველთა წარმართთა, და ესე-ვითარითა სიმდაბლითა და განხორ-

ცხოვრებითა თჳსითა, უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან აღსრულნა ცოდჳანი სოფლისანი, ეჩვენა ანგელოსთა, ქადაგებულ-იქმნა წარმართთა შორის დამამტკიცებელად ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა, ჰრწმენა სოფელსა ღმრთად ჭეშმარიტად, განმაქარვებელად საცთურთა ყოველთა, რომლისათჳს ჴსმობს განსწავლული ყოვლითა სიბრძნითა და მეცნიერებითა მოციქული პავლე: დიდ-არს ღმრთის-მსახურებისა იგი საიდუმლო. ღმერთი გამოჩნდა ხორცითა, და განმართლდა სულითა, ეჩვენა ანგელოსთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა.

და ესრეთ, უკეთილ-მსახურესნო მსმენელნო! ჭეშმარიტად დიდ-არს საიდუმლო-შობა უფლისა, ვინათგან დღეს ამას შინა ქუეყანა ემსგავსებოდა ცასა, რამეთუ ღმერთი უხილავი ცათა შინა, ქუეყანასა ზედა განკაცებული იხილვებოდა, და სიხარული ანგელოსთა და კაცთა ყოველსა სოფელსა ქადაგებოდა. და ვინათგან ჩუენ ვართ ერნი საკუთარნი ქრისტესნი, ამისთჳს მოვედით ჩუენცა დღეს ეკკლესიისათანა გალობდეთ: ქრისტე შობასა ვადიდებდეთ, ქრისტესა ზეცისასა, და განწმენდილნი სულითა და გულითა და მტკიცითა უკუე სარწმუნოებითა, მივეგებოდეთ ქრისტესა ჩუენ ქუეყანისასა, და მსგავსად კეთილ-გონიერთა მოგუთა ნაცულად აღმობრწყინვებულისა ვარსკვლავისა, გვაქვნდეს ჩუენ სიტყუა ღმრთისა-წმიდა სახარება, და ნათლად განმანათლებლად და მჩვენებლად გზათა უფლისათა ჴსჯული მისი, ადგამადლებდეთ ღმერთსა დიდებულსა, რომელმან განკაცებითა თჳსითა გამოგჳხსნა მძლავრისა ჯოჯოხეთისაგან და მოგუანიჭა საუკუნო ნეტარებასა, და ესრეთ სიხარულით უდადადებდეთ ერნო რამეთუ დიდებულ-არს. ამინ. (*)

მღუდელი იროდიონ ელიოზიძე.

---

(*) თქმული ს. ენისელს, ჳრისოდის ეკკლესიაში. 1864 წ. 25 დეკ.

ჰ ს წ ა ვ ლ ა

## შემდგომ დაფიცებისა სოფლის საზოგადოებისაგან ამორჩეულთა მსაჯულთა.

---

კეთილ-მსახურნო მსაჯულნო!

ამორჩევისა-მებრ თქჳენის საზოგადოებისა და ერთ-მოძმე-თა თქჳენთა — ამიერიდგან მოწოდებულ-ხართ ახლისა საქმის აღმასრულებელად; არა მცირედი შრომის საქმე მოგენდოთ თქჳენ, — ამის-თჳს უნდა იყვნეთ ყოველთჳს მღჳძარენი და გაფრთხილებულნი ყოველთა საქმეთა შინა; ერთგულად აღასრულეთ ნება ხელმწიფისა, რომელიცა განცხადებულ-არს ჰსჯულთა შინა; ნურას-ოდეს ნუ აღრევთ ურიგოდ კეთილსა ჰაზრსა; იქმოდეთ სამართალსა მარჯვესა და პირუთნებელსა; იხმარებდეთ შემწეობასა დაჩაგრულთა-თჳს; ამხილებდეთ წინააღმდეგთა და გარდამავალთა, — და ზომისაებრ მათის შეცთომისა მისცემდეთ მსჯავრსა; განეშორებოდეთ რისხვასა, რომელიცა არს წამითი სიცოფე, და ნუ იხმარებთ სისუსტესა; მარადის გახსოვნდესთ, რომელ კაცი კეთილად იქმნის მხოლოდ პირუთნებელის სამართლითა, — ესენი არიან თქჳენნი ახალნი მოვალეობანი. — არა მცირედი მოთმენა და მხნეობა გმართებთ თქჳენ აღსასრულებლად თქჳენნისა მოვალეობისა, რათამცა იყჳნეთ სიმართლის გზითა, — არ გადასწევდეთ საქმესა არცა მარჯვნივ და არც

მარცხნივ. სინიდისი და სიმართლე კაცისა მოითხოვს, რათამცა იყოს პირუთნებელი მსაჯული; ჯერ-არს მსაჯულისაგან გამოხატვა ჰაზრ-შია დროსა სამართლისა მისისა, რომელ იგი იქმს სამართალსა არა-თუ კაცობრივსა, არამედ თჳთ სამართალსა ღჳთისასა, რომლი-სა-თანა არა-არს არა-ვითარიმე უსამართლობა, არცა პირმოთნეობა, და არც მიიღებს ვისგანმე სასყიდელსა,—არამედ ყოველთა მიაგებს საქმეთა-მებრ მათთა დღესა მას განკითხვისასა.

შეუდეგით თქჳენცა ამიერიდგან ქსრეთიითა გრძნობითა თქჳენ-სა საქმესა, კაცნო კეთილ-მსახურნო! აღმორჩეულნო მსაჯულად ქვრივთა და ობოლთა, მდიდართა და ღარიბთა, ერთ-მოძმეთა და მეზობელთა თქჳენთა. კეთილი და რიგიანი სამსახური თქჳენი იქმნება დიდად სასარგებლო საზოგადოებისა-თჳს; კეთილ-გონიე-რება და რიგიანად მოქცევა თქჳენი შეამსუბუქებენ მძიმესა [illegible]-თსა თქჳენსა,—ხოლო უმეტეს ყოვლისა ჭეშმარიტების შეყვარე-ბა განგამტკიცებსთ და დამყარებულ-გულოვსთ თქჳენს საქმეშია; უმე-ტეს ყოვლისა მარადის გაქვნდესთ შიში ღჳთისა და შეურყეველი ქვეშევრდომობითი მორჩილება საღმრთოჲსა ნებისა ყოვლად-მოწ-ყალისა ხელმწიფისა ჩჳენისა.

მადლი უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესი,—კურთხევა ღჳთი-სა მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა მარადის გიძღოდენ თქჳენ და ახლად-დაწყებულსა შრომასა შინა თქჳენსა! ამინ.

მღჳდელი იოელ ხატიევი.

---

1865-სა წელსა
ს. ვაქირი.

# მ ო თ ხ რ ო ბ ა

## სასწაულისა‿თჳს ხატისა‿მიერ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.

---

ბივრიტია არს ქალაქი რომელიმე, მყოფი საზღ̂ართა ტვი-როსისა და სიდონისათა, რომელიცა არს გამგეობასა ქვეშე დიდისა ანტიოქიისა. ამას ქალაქსა შინა მკვიდრ იყ̂ნენ მრავალნი ურიანი: აღზრდილნი სჯულსა შინა მოსესა და მტკიცედ დამცველნი ბრძა-ნებათა მისთა; და აქ̂ნდათ მათ შესაკრებელი რაჲმე დიდი ანუ სი-ნედრიონი. ხოლო მახლობელ შესაკრებელისა მათისა იყო სახლი ერ-თი კაცისა ვისიმე ქრისტეანისა, რომელი იყო მხოვლიო და ღა-რიბად მცხოვრები, რომელი იგი პაპის პაპათაგან ქრისტიანობისა ჭსჯულთა შინა აღზრდილი, მკვიდრ იყო სახლსა მას შინა. და რო-გორათაც შვენის კაცსა ღ̂თის‿მოყ̂არესა, გამოესახა ხატი უფლი-სა ღ̂თისა და მაცხოვრისა ჩ̂ნისა იესო ქრისტესი ფიცარსა რა-სმე ზედა, სახედ ცხოვრების‿მომცემელისა მის ჯ̂არცმისა მისისა, რომელიცა ედგა მას კაცსა ჭერში, რომელსა შიშით და პატივით მსახურებდა. ხოლო შემდგომად მრავალთა წელთა გარდასვლისა, გა-ნიზრახა გარდასახლება სხ̂ასა რომელსამე მამულსა: და ვითარცა აღასრულა თჳსი იგი წადილი, ყოველივე რაოდენი რა აქ̂ნდა მას, გარდიტანა ახალს მოსყიდულსა მას სახლსა; და სახლი იგი მიჰყი-და ერთსა ურიათაგანსა. მან მემკვიდრეს, რომელიცა შემდგომ

ქრისტეანისა მის დადგა მას სახლსა ურია იგი. და ესრეთ, განვი-და რა რაოდენიმე ხანი, მოიწვია მან ურიამან მეგობარი ვინმე თჳ-სი, სადილსა ზედა. და ვითარცა მასპინძელი იგი და მოწვეული დასხდენ სადილზედა; და მოლხენით სჭამდენ და სმიდენ, — ამას ჟამსა მიწვეული იგი აქათ იქით იხედებოდა: და აიხედა რა ხიმა-ღლედ ჭერში, დაინახა პირველ მოხსენებული იგი ხატი მაცხოვრი-სა, (რომელი იყო დახატულ ჯუარცმის სახედ), და ხილვასავე თანა განკრთა და პირველად დადუმებულ იქმნა; შემდგომად განბოროტე-ბული ეტყოდა ხერობად მიმწოდებელსა, მასპინძელსა მას: „მითხარ მე, ჰოი მოყვასო, რომლისა სჯულისა ხარ, ქრისტიანეთა ანუ ურია-თა? და იგი გაკვირვებით მიუგებდა: ვითარმედ რასაღა იჭვით და ჭა-ზრით იკითხავ, ჭეშმარიტისა თჳს და მტკიცისა საქმისა. ანუ არა უწყია, ჰოი საყვარელო, ვითარმედ პირველთა მშობელთაგან, ურია-ბოსა შინა შობილ-ვარ და აღრზდილ?! კვალად ეტყოდა მას: მაგას რასა ეგე იტყვი, ყოვლითა გულითა ჭეშმარიტებით მეტყვია? ანუ გსურის შეცთუნებაცა ჩემი? — ხოლო მან მიუგო, როგორ და რო-მლითა სახითა მაბრალებ მაგას? და იგი მწრაფლ აღსდგა და ხე-ლი განიპყრა და თითითა უჩვენებდა, და ეტყოდა ხატისა მისთჳს, ვითარმედ მითხარ მე, ჰოი ყოვლად მზაკვარო და მაცთურო, ვისი არს ხატი ესე?„ მაშინ კაცმან მან აღიხილნა ზედა მიხედა ხატსა მას, და იხილა რა იგი, აღივსო მწუხარებითა, რამეთუ არაოდეს ეხილ-ვა ხატი იგი, ამასთანა კუალად პირის-პირ ცხადად შემწამებელისა საქმისათჳს შიშით იტყოდა: ხატი ესე ვითარ ვგონებ ნაზარეველ-ლისა არს, და მე ესე არა მიხილავს, ხოლო თუ ვის აღუმართავს ეგე, გინა თუ რომლისა მიზეზისათჳს, ანუ თუ ოდეს, არა უწყი სრუ-ლიად. კვალად ეტყოდა მზაკვარი იგი და რქუა: „უეჭველად გსურს შენ ჩემიცა შეცთუნება სიტყუათა შენთა მიერ; რამეთუ ვითარ თა-ვს ვიდვა რწმუნება შენგან საქმისა განცხადებულად გამოჩინებულისა?

ხოლო მოწოდებული იგი კაცისა მის განკრთა და განცვიფრდა, და ვერ ქმლო წინა-აღმდეგობა და სიტყვის-გება; ვინადგან პირსა წინა-აღმდეგობდა მამხილებელი, და სიტყუჱათა დაამტკიცებდა საქმე განცხადებული. ამისათჳს უტყჳ და უხმო იქმნა უღონოებისაგან: რამეთუ ტკივნეულ-იყო, რომელთა თჳს ცილი ეწამებოდა; და შემინებულ ტანჯვათაგან, რომელთა თანამდებ იქმნებოდა ძლივღა მოიბრუნა გული მომატებულის მწუხარებისაგან და პირ-დაღმა დავარდა მიწასა ზედა და ეტყოდა მიწოდებულსა მას, ხვეწნით: ,,გრწმენინ, უფალო ჩემო, რამეთუ გეფუცები შენ, თანა წარუვალსა მას სასჯულსა ღჳთისასა; ვითარმედ არცა ოდეს ქრისტეანე ქმნილვარ, არცა ვიქმნები, არცა მამულისა სჯულსა განვეყენები, ამასთანა არცა საქმე ეგე უწყი; რომლისათჳს შენ ცილსა მწამებ მე არცა ოდეს იპოვოს ჩემთანა ეგე ვითარი რაჲმე, აწ უკვე შემინდევ, რომლისათჳს არათუ ვსცოდე რაჲმე, არამედ შემთხვევითა რაჲთამე და ჩვეულებითა ბოროტისა მომპოვნებულისა ეშმაკისათა შთავარდი ესევითარსა უჯეროებასა,,. იხილა რა მოწვეულმან მან ურიამან, ესრეთი ხვეწნა მისი, ეჩვენა რეცა სახითა მეგობრობისათა, და მწუხარება მისი დაამცხრო მოტყუებით. ხოლო თჳთ მირბიოდა მწიგნობართა და მოხუცებულთა მიმართ ერისათა, რათა აუწყოს ბრალი მეგობრისა თჳსისა.—ეტყოდა მათ და რქჳა: ,,საცნაურ იყავნ თქუენდა ყოველთა შორის, ჵი პატიოსანნო მამანო, და ღირსებით დამშვენებულნო მოსეს ბრძანებათა და სჯულის-დებათანო! უწყოდეთ თქუენ და ყოველთა ამათ კრებათა, ვითარმედ იგი ვინმე კაცი (ჩაუროთო სახელიცა კაცისა მის),—რომელი საგონებელ იყო ჩემ მიერ ისრაიტელად ვიდრე დღეინდელად დღედმდე და ჭგონებდით მას ებრაელად,—განდგომილ-არს იგი მამათა მიერ მოცემულისა ამის მსახურებისაგან, და სატი მის ჯუჱარცმულისა, რომელი იგი მამათა ჩვენთა ვითარცა მაცთური დამოჭკიდეს. აღუმართავს სახლსა შინა

თჳხსა, და შესწირავს მისსა, მსახურებასა და თაყვანის-ცემასა; აწ უკუე უფიცხელესად ჯერ-არს გამოძიებად საქმე ესე თქუენ მიერ. ესე რა ესმათ, განრისხდეს ფრიად და მუქარითა დიდითა იტყოდეს მოკჳლსასა მის კაცისასა; გარნა ვინაჲდგან მზე შთავიდოდა და დღე იყო მიმწუხრებული, ამისთჳს დაასცადეს სასჯელსა დღესა მას. ხოლო განსთენდა რა დღე მეორე და ყოველივე კრებული თანა წარიტანეს, და ერთ-სმობით აღძრულნი მივიდეს და ეცნეს სახლსა მისსა და მივიდეს ადგილსა მას, სადაცა ესწავათ ადგილი ხატისა მის ჯუარცმულისა შემსმენელისა ურიისაგან.... იხილეს ხატი იგი მაცხოვრისა, პირველად, ქრისტიანედ შესმენილსა მას ურიასა დაუწყეს ცემა და გინება უშვერად; და განჩინება დასდვეს მისზედა, რათა განსადონ იგი კრებულისაგან. ამისა შემდგომად წმიდა იგი ხატი მაცხოვრისა შთამოიყვანეს, და ზრახვა ჰყვეს მსგავსად პირველისა თჳთ ჯუარცმასა მისსა, და ყოველთა ერთ-პირად ესე ვითარი განჩინება აღმოთქვეს, და იტყოდეს: „ნუღარა სხუასა ვიქმთ, თვინიერ მისსა, რა იგი პირველთა მამათა ჩუენთა მიერ ქმნილად ასმიეს ყურათა ჩუენთა,.. და ესე რა სთქუეს, თჳთოეულსა რაჲცა მოაგონდებოდა მას იტყოდეს, —ერთმან სთქუა: ვითარმედ; "თქმულ არს მამათა ჩვენთაგან ყურიმლის ცემა ამისი,,, —და ესე რა სთქვა, დაუწყეს ცემა ხატსა მას, —მეორემან სთქუა: "რამეთუ ნერწყვადცა მოსწრაფე იქმნეს", და მაშინვე იწყეს ნერწყვად ხატისა მის. კუალად სხუამან სთქუა: „ვითარმედ ქენჯნაცა წერილ არს და მეის ხატსა მას ქენჯნიდიან უკეთურნი იგი კიცხევითა და ბასრობითა. —სხუამან სთქუა: "ვითარმედ ნაღველისაცა სმევა გვასმიეს,,, და მაშინვე ერთი მეორესა უსწრობდეს მიპყრობად მისსა ნაღვლისა. და ესრეთ სრულ ჰყვეს რა ყოველი იგი განჩინება მსგავსად პირველისა, თჳთ ვნებისა მაცხოვრისასა; მერმე თქვეს ურთიერთარს, —და ესეცა გვასმიეს მოსუცებულთაგან ერისათა, ვითარმედ რაჟამს დამოჭკიდეს

ძელსა ჯუარისასა სამსჭვალებითა ხელნი და ფერხნი მისნი განუხვრიტნეს: და მისა მოწამედ განცხადებულად, აჰა ერთი ესე არს, რამეთუ სახეცა ესე მაცთურისა ამის სატანისა განმსჭვალული არს,,. ესე სთქუეს რა, მაშინვე მოიღეს ლურსმნები და განუხვრიტნეს ხელნი და ფერხნი.—დასასრულ, ერთსა მათგანსა მოაგონდა ლახვრითა განგმირა მისი,—და მაშინვე მოიღო ორ-პირი მახვილი და სცა გვერდსა მისსა: და, ოჰ სასწაული უფლისა, რამეთუ ვითარცა გამოიღო ურიამან მან, მიმთხვეული ლახვარი გვერდისაგან უფლისა, გარდამოეცა მიერ სისხლი და წყალი, ვითარცა წერილ-არს წმიდასა შინა სახარებასა: და ემსგავსა ესეცა სისხლსა მას და წყალსა გვერდით უფლისა გარდამომავალსა.

ესე იხილეს რა მათ საშინელი საქმე, მაშინვე იგი ფრიადი რისხუა შესცვალეს კეთილ-გონიერებად, (და უმეტეს რისხვისა ესე აქვნდათ),— ამისათჳს ზეცად მიმართ აღიპყრობდეს ხელთა; და დამოადინებდეს ნაკადულსა ცრემლთასა და ხმითა დიდითა ხმობდეს და იტყოდეს: „დიდება შენდა ღმერთო, მოქმედო საკვირველებათაო. დიდება შენდა ღმერთო, მიზეზო ჩვენ ცოდვილთა ხსნისაო: დიდ არს ძალი შენი ქრისტე, რომლისა მიმართ მამანი ჩვენნი უგუნურ-იქმნეს, და შურითა შეპყრობილთა დაგმსჭვალეს შენ ცხოველს-მყოფელსა მას ძელსა ზედა ჯუარისასა,,.—მაშინ მღუდელთ-მთავართა მათ და მოხუცებულთა და მთავართა ერისათა, იხილეს რა უცხო ესე, და მოულოდებელი საკვირველება, და სასწაულსა მას ზედა ქმნილი იგი ხმობა და სინანული ერისა; ვერღარა ეძლოთ განცხადებულად წინა აღმდგომად საკვირველებისა; არამედ ესე ვითარითა ღონითა ენებათ დაფარვა მისი, ვითარ იგი იტყოდეს და სთქუეს:—„კაცნო ისრაიტელნო: ერთიღა გვაკლს აწ, რომელი იგი უკუთუ იქმნასღა, მიერითგან არღარა დამიშთეს ჩუენ მიზეზი სიტყვის-გებისა;—თჳთ თქუენ უწყით ვითარმედ, გვისწავიეს მამათა ჩუენთა მიერ ვითარ

ფრიადნი სასწაულნი და ნიშნი ჰყვნა ქრისტემან მაშინდელისა მის
ნათესავისა ზედა: ბრმანი განანათლნა, კეთროვანნი განსწმიდნა, გან-
რღვეულნი და ღრეკილნი აღმართნა;—მეყსა შინა მკჳდართა სული
ცხოველი მიმადლა. ხოლო აწ უკეთუ სისხლმანცა ამან და წყალმან
ამის ხატისაგან გარდამოსრულმან, ესე ვითარი რაჲმე აჩვენოს სა-
სწაული,—რაჟამს ჩჳენ მიერ დაესხას იგი სნეულსა ზედა, მყის
ერთობად ყოველნი მოუხდეთ მას და მივიღოთ ბეჭედი ნათლის-
ღების,,. ესე ვითარცა სთქჳეს საქმითაცა აღასრულეს, და მიიღეს
ჭურჭლითა სისხლი და წყალი წმიდისა მის ხატისაგან გარდამოს-
რული: და სცხეს რა იგი ნაირ-ნაირ ავანტყოფებსა, მაშინვე განი-
კურნებოდეს.

ესე რა ესრეთ აღესრულებოდა, ურიათა ფრიადი შიში აღმ-
ძრველ ექმნებოდა: რამეთუ სხჳა სხჳთ მორბიოდეს, და განმაც-
ხოველებელსა მას საკვირველთ-მოქმედებასა ზედა განკვირვებულნი
იცემდეს მკერდთა (გულთა ზედა) და იტყოდეს ცრემლით და ხმო-
ბით: “დიდება შენდა უფალო, ცათა და ქვეყანისა მეუფეო, რომელ-
მან ძველ ოდესმე ჭირთაგან ეგვიპტისათა ერი შენი განარინე: ხო-
ლო აწ ჩჳენ უღირსნი განმათავისუფლენ მწარისა მისგან მძლავ-
რებისა ეშმაკთა,..... ამას და მსგავსსა ამისსა მადლობასა შესწირვი-
დეს, და რა იგი შესცოდეს ღმერთსა, მისთჳს შენდობასა ეძიებდეს:—
და ესრეთ მოუხდეს მის ქალაქისა ეპისკოპოსსა ყოველივე იგი სი-
მრავლე ერისა, და უჩვენებდეს მას (ეპისკოპოსსა), მას წმინდასა ხატ-
სა, და მიერ გარდამომდინარესა სისხლსა და წყალსა, და ითხოვ-
დეს მისგან რათა ნათელ-სცეს მათ. ესე რა ესმა ეპისკოპოსსა, გან-
ცვიფრებულ იქმნა დიდად. შემდგომად იწყო მოძღჳრებად მათდა,
და ასწავა მათ სიტყჳა იგი მართლისა სარწმუნოებისა, და ამცნო
რათა ბრძანებათა სახარებისათა შეუდგნენ და აღასრულებდენ, და რათა
წადიერ-იყვნენ მიღებად გვირგვინსა მას წმიდათა-თჳს განმზადებულსა.

ქსე რქჳა და ნათელ-სცა მათ სახელითა მამისათა და ძისათა და ყოვლად-წმიდისა სულისათა, და აღაშენა ადგილსა შესაკრებელისა მათისასა ეკკლესია ყოვლად-შვენიერი, და მას შინა აკურთხნა მათგანნი მღჳდელად და დიაკონად,—რათა შესწირვიდენ სიტყვიერსა მას და უსისხლოსა მსხვერპლსა: და ესრეთ ქალაქისა მის მკვიდრნი ურიანი მოიქცეს რა ქრისტიანობად ესოდენ წარემატნეს მას შინა, ვიდრემდის გარემოს მათსა მყოფისა სოფლებისაგან მორბიოდეს ერნი, და მათ მიერ ესწავებოდა ჭეშმარიტი იგი გზა ცხოვრებისა, რათა მოსურნე იყვნენ კეთილთა მიმართ დაუსრულებელისა მკვიდრობისათა და საუკუნოჲსა ცხოვრებისა, და მიუთხრობელისა სიხარულისა.

(წიგნისაგან ეფრემ ასურელისა).

იოანე ბერძენოვი.

# სინანული ავაზაკისა.

მეფობასა იმპერატორის მავრიკისასა მეექვსის საუკუნოს დასასრულსა, იყო თრაკიას შინა ავაზაკი ესოდენ ბოროტი და ძლიერი, რამეთუ ვერ ვის ეძლო შეპყრობა და შებორკილებაჲ მისი. კეთილმსახურმან იმპერატორმან ისმარა დასასრულ დასამშვიდებლად მოუძლოვრებელისა მის მხეცისა ღონეჲ ქრისტიანებრივისა მოწყალებისა: წარუგზავნა მას ჯუ̂არი თჳსი, და არწმუნებდა მას, რათამცა იგი უშიშრად მოვიდეს მეფისად. ავაზაკი მოვიდა, და სინანულით შევარდა ფერხთა იმპერატორისათა. გარნა შემდგომ რაოდენთა დღეთა შთავარდა იგი სნეულებასა შინა და იქმნა წარყვანილ სამკურნალოსა სავანესა შინა. აქა მან ძილის შორის იხილა საშინელი სამსჯავრო, და განიფრთხო რა ძილისაგან, აგრძნო მოახლოებაჲ სიკუ̂დილისა თჳსისა, მაშინ ყოვლითა სულითა მიიქცა ვედრებით მაცხოვრისადმი ცოდვილთასა. ,,მეუფეო კაცთ-მოყუ̂არეო! იტყოდა იგი ,,ლოცვასა შინა. ვითარცა უწინარეს აცხოვნე შენ ავაზაკი, ეგრეთვე ,,აწცა საკვირველ-ჰყავ წყალობა შენი ჩემ ზედა, და მიიღე გლოვაჲ ,,ჩემი ცხედარსა ამას ზედა სიკუ̂დილისასა: უფალო, ნურა რასა უმეტესსა ეძიებ ჩემ შორის; მე არა მივის უკვე ჟამი, რათამცა გარ,,დავიხადო ურიცხვნი თანანადებნი ჩემნი: შენ უკვე მოწყალებითა ,,შენითა აღხოცენ შეცოდებანი ჩემნი,,. ლოცვისათანა ესრეთსა მხურვალებასა შინა სულისასა, რაოდენსამე ჟამსა დამოსდიოდნენ თვალ-

თაგან ცრემლნი ხინანულისანი და დაალტობდა იგი მანდილსა თჳსსა, რომლითაცა იხოცდა იგი. დასასრულ დასცხრა დინებაჲ თვალთაგან ცრემლთა, მით, რომელ მოაკლდა მგერაცა გულისა მონანულისა მის: ავაზაკი აღსრულდა. მას ჟამ შინა უპირატესმან მკურნალმან იხილა ძილის შორის, რამეთუ მრავალნი შავნი (ესე იგი ეშმაკნი) მოვიდნენ სარეცელისადმი ავაზაკისა და მოიტანეს ქარტანი, აღნიშვნითა მას შინა ცოდჳათა მისთათა, ამასთანავე მოტანილ იქმნენცა სასწორნი, რომელთა ზედა ერთის მხრით დადებულ-იქმნენ ქარტანი შავთანი. მაშინ ანგელოსნი ჰკითხვიდენ ურთი-ერთს: რაჲმე დავდვათ ჩუჱნ მეორეს მხრით სასწორთა მათ, მით რომელ არა არს უმეტეს ათისა დღისა მის დროდგან, ოდესცა ავაზაკი ესე მოიქცა? გარნა აჰა არს მანდილი მისი დალტობილი ცრემლითა მისითა! და მანდილი ესე დასდვეს სასწორთა მათ ზედა. და ვითარცა მსწრაფლ ჰყვეს ესე, მყის ქარტანი იგი ცოდვითურთ აღიტაცნეს ზეით და განიბნინეს. ანგელოსთა ერთ-ხმობით ღაღად-ჰყვეს: ჰხმლია კაცთ-მოყუარებამან ღუთ-ისამან! და წარიღეს სული ავაზაკისა თჳსთანა: ხოლო ეშმაკნი იგი სირცხვილითა და ტყებითა ივლტოდნენ. განიფრთხა რა ძილისაგან მკურნალმან, მიილტოდა ცხედრისადმი მომაკვდავისა, და ჰპოებდა სხეულსა ავაზაკისასა ჯერეთ არა გაციებულსა, გარნა უგრძნობელად, და მანდილსა დალტობილსა ცრემლითა, მდებარესა თვალთა ზედა მომკუდრისათა, და გამოიკითხვიდა მუნ მყოფთაგან უკანასკნელსა ჟამსა ცხოვრებისასა შენანებულისა ავაზაკისა მის. ამის შემდგომ აღიღებს მანდილსა მას თვალთაგან აღსრულებულისა მის, და მისრული იმპერატორისადმი იტყვის: ვაქებდეთ ღმერთსა, ხელმწიფეო! რომელმანცა ჟამსა მეფობისა შენისასა აცხოვნა ავაზაკი!

აღმომწერელი ამა შემთხვეულებისა დაგვარწმუნებს, რომელ ყოველივე აღწერილი მის მიერ არს ჭეშმარიტი; გარნა დართავს ამა-

სთანავე—,,რამეთუ კეთილ არს მარად ჟამ მზა ვიმყოფებოდეთ და წინა უსწრობდეთ სინანულითა ჟამსა სიკჳდილისასა.,, ჭეშმარიტი იგი არს, რომელ მოწყალება ღჳთისა მიიღებს მოკლესაცა, გარნა წმიდის გულით მირთმეულსა სინანულსა და რომელ რომელთამე იწყეს და სრულ-ჰყვეს უკვე სინანული სარეცელსა ზედა სიკჳდილისასა; გარნა ვინ იქმნების დარწმუნებულ, რომელ მას შეხვდების რაოდენიმე ჟამი წინარე სიკჳდილისა, რომელსა შინა მას ძალ-ედების შენანებად? მექმნების მე გინა ერთიცა წამი წინარე სიკჳდილისა, რომელსა შინა ძალ-მედების მე გრძნობითურთ ვილოცო და შევინანო ცოდვანი ჩემნი? არ. უწყი. არამედ მზა იყვენით, იღვიძებდით, რამეთუ არა უწყით არცა დღე და არცა ჟამი, რომელსა შინა მოვიდეს თქჳენდა მსაჯული და ანუ წარსდგეთ თქჳენ მსაჯულისადმი!

მთარგ. დეკან. გ. გამრეკელოვი.

---

# მცირე შენიშჳნა საეკკლესიო აპოკრიფულის მწერ-ლობისა-თჳს.

---

შემდგომად გამოჩინებისა და დანერგვისა ქჳეყანასა ზედა ქრისტესსა სარწმუნოებისა, განმრავლდა ქრისტიანეთა შორის მწერლობაცა საქრისტიანო, ანუ ისრეთნი თხზულებანი, რომელნიცა შეეხებიან სარწმუნოებასა და ისტორიასა ქრისტეს ეკკლესიისასა. გარნა მათ შორის იხილვებიან ზოგნი ისრეთნიცა, რომელნი თუმცა არა არიან პირ-და-პირ წინააღმდეგნი სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებისა, გარნა ჭეშმარიტსა მჭვრეტელობასა ისტორიკოსისასა ეჩვენებიან საეჭვოდ და ძნიად შესაწყნარებელად; ხოლო ზოგნი არიან ყოვლითურთ წინააღმდეგნი და უშესაბამონი სიტყვისა ღჳთისა და ისტორიისა. როგორ მიიღებს მკითხველი, მაგალითებრ, იმა მოთხრობასა, ვითომც ნოეს კიდობანში ყოფილა შენახული, წარღვნის დროს, სხეული ადამისი, და მერმე მიუტანია იგი იერუსალიმში ნოეს შვილს—სემს და იქ დაუმარხავს? ესრეთი მოთხრობა აქჳსთ მიღებული ისტორიულად ასურეთის ქრისტიანეთა ანუ აისორებთა: იგინი გვარწმუნებენ, რომელ ნამდვილად იპოვება ეს მოთხრობა წმიდა ეფრემ ასურის მწერლობაშიო (*).—ეგრეთვე, როგორ მივი-

---

(*) ეს ამბავი მოგვითხრა ჩჳენ ტფილისში მყოფმა (186 4/5 წ.) აისორის მიტროპოლიტმა—იოსებმა, და აისორული ხელით-ნაწერი წიგნიც გვაჩვენა ამაზედ, რომელიცა განიხილა ყოვლად-სამღჳ-დელო ხოფონის ეპისკოპოსმან, და ჰპოვა ნამდვილად ეს მოთხრობა. რედ.

ლოთ ჩუენ ის ქართული მოთხრობა, ვითომც პონტოელი პილატე, რომლის დროს და რომლისა თანა-მონაწილეობითა ჯუარს-ეცუა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, მონათლულა შემდგომ სახლეულობითურთ თჳსით და ყოფილა მტკიცე ქრისტიანე და თითქმის სასწაულთ-მოქმედი, მხილველი ზეცათა შინა ქრისტეს დიდებისა?— რასაკვირველია, მორწმუნეთა-თჳს ყოველივე შესაძლებელ-არს; მაგრამ ნამდვილი ისტორიული მოთხრობა პილატეზედ გვიმტკიცებს მის გარემოებას სხვებრ.

პილატე იყო საშინელი მტერი ებრაელთა ხალხისა და სარწმუნოებისა. იგი მარადის მზათ იყო,—იგი მარადის ეძიებდა შემთხვევასა ქმნად ბოროტისა რწმუნებულისა მისდა ერისადმი; და შიშისა-თჳს რომის იმპერატორისა მოქმედებდა ძლიერ ფრთხილად და კრძალულებით, რათამცა არა გამოჩენილ-იყო ცხადად ბოროტება მისი. მაგრამ თჳთ ამა კრძალულებასა და თჳთ ამა მეცადინეობასა შინა დაფარვად ბოროტებისა თჳსისა შეიცვის და გამოიხატვის სრული ბოროტ-მოქმედება და განდრეკა სიმართლისა პილატეს-მიერ, წინააღმდეგ ყოვლისა იმა დროის სჯულის-დებისა და კანონიერის სამართლის განჩინებისა რომის იმპერიაში. მიხედეთ მოთხრობასა წმიდისა სახარებისასა პილატეს-ზედ,—და იხილავთ ხასიათსა მისსა: იგი მოქმედებს არა ვითარცა ჭეშმარიტი მსაჯული, განმრჩევი ბოროტისა და კეთილისა, ძლიერი კანონითა და გონებითა,—არამედ ვითარცა პირ-მოთნე, გულ-ბოროტი, მოშიშარი და მზრუნველი არა-მოკლებისა-თჳს დიდებისა თავისა თჳსისა. მაგრამ ყოველი ბოროტ-მოქმედება მსაჯულისა და მოსამართლისა არის დროებითი და მწრაფლ-წარმავალი, რომლისა-თჳს მიიღებენ თჳთოეულნი სასჯელსაცა საქმეთა მათთა-ებრ. ესრეთ შეემთხვა პილატესაც. შემდგომად ქრისტეს შობისა, 37 წელსა, მივიდა რომის ქალაქში მარიამ მაგდალინელი და მოახსენა იმპერატორს ტიბერის ყოვე-

ლივე უსამართლოება პილატესი, ქმნილი მის-მიერ ჯუარცმისა-თჳს იესო ქრისტესა. იმპერატორი განრისხდა ამისთჳს პილატეზედ, და ამიერითგან აქუნდა მას ზედა ძლიერ ცუდი ყურად-ღება. ამას დაემატა სხუა გარემოებაცა — უბედური პილატესთჳს. ესე იგი: გამოჩნდა იმ დროს ერთი მცბიერი სამარიტელი, რომელმანცა განაცხადა, რომ იცის მან გ ა რ ი ზ ი ნ ი ს მთასა ზედა დამალულნი მოსესგან საეკკლესიო ჭურჭელნი; ამისთჳს შეიკრიბნენ დიდად ბევრნი სამარიტელნი და წარვიდნენ მიებად აღნიშნულთა ნივთებთა ერთად მცბიერისა-თანა. ეს გარემოება გაიგო პილატემ და უმიზეზოდ შერაცხა შეკრებულება ხალხისა ბუნტად წინააღმდეგ რომის იმპერატორისა; ამისთჳს მსწრაფლად გაგზავნა სამარიაში ძლიერნი მხედარნი, რომელთაცა მოსწყვიდნეს ყოველნი შეკრებულნი სამარიტელნი განურჩევლად მტყუანისა და მართლისა, და შეუტყობლად საქმის გარემოებისა. მონათესავეთა აღხოცილთა მათ სამარიტელთა უჩივლეს ამაზედ პილატეს რომის იმპერატორთან, რომელმანცა დაიბარა პილატე და მოსთხოვა მას პასუხი თავის მოქმედებაში. პილატემ უგო პასუხი, მაგრამ ვერ განმართლდა მით, არამედ სრულიად გამტყუვნდა; ამისთჳს იმპერატორმა გამოსცჳალა იგი ურისტანის პროკურატორობისა ანუ მმართველობისაგან და გაგზავნა სასჯელსა ქვეშე გ ა ლ ლ ი ა შ ი, რომელ არს ახლანდელი ფ რ ა ნ ც ი ა. აქ სცხოვრებდა პილატე ვ ი ე ნ ნ ი ს ქალაქში სამს წელს, და მერმე ტანჯულმა სინიდისითა და შინაგანითა უკმაყოფილებითა ანუ საშინელითა მწუხარებითა სულისა და გულისათა — მოიკლა თავი თჳსი ხელითა თჳსითა. (*) ესრეთ აღესრულა პილატე, რომელსაცა თჳთ ყოვლად-მეცნიერმან იესომ განუცხადა დიდსა ცოდჳასა შინა მყოფობა, თუმცა არა თანასწორ იუდასა (იოან. 19, 11). ხოლო რაჲ-

---

(*) იხილე რუს. წიგნი: Воскр. Чт. Г. XXII, стр. 576.

ცა შეეხება ცოდნის პილატესსა—პროკლას, მას შინა არ უნდა იყოს ეჭვი, ამისთჳს რომ იგი იხსენება ყოველგან ვითარცა დედა-კაცი ღჳთის-მოშიში და კეთილ-მსახური.—ამისთჳს ზემო-აღნიშნული ქართული თქმულობა პილატეს მონათვლაზედ ჩუენ მიგვაჩნია საეჭვოდ და ძნიად შესაწყნარებულად, და არც სხჳსა ენაზედ წაგვიკითხავს სადმე ესრეთი მოთხრობა.

ხოლო ჩუენ პირველ-დაწყებულს სიტყჳსადვე მივიქცეთ.—და ესრეთ მთავრველობასა ქვეშე მყოფი (*) საეკკლესიო თხზულება, რომელიცა ზოგჯერ არა არს წინააღმდეგი სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებისა, გარნა ზოგჯერ შეიცავს თჳს შორის ჰაზრებსა და მოთხრობასა სრულიად საეჭვოსა და წინააღმდეგსა—იწოდება ა პ ო კ რ ი ფ ა დ. ამ-გჳარნი მოთხრობანი იპოვებიან უფრო ხშირად ძველს ბერძულს და ლათინურს ენებზედ. ესრეთ, მაგალითებრ, არიან მათ ზედა დაწერილნი: სახარება მოციქულისა თომასი, სახარება პეტრესი, ანდრიასი, ბართლომესი, ნიკოდიმოსისა, და სხჳანი; ეგრეთვე—საკმაოდ არიან აპოკრიფნი სირიულს ენაზედა, როგორც ჰსჩანს ზემო-აღნიშნულისა მაგალითისაგან, და ქართულზედაცა, ვითარცა გჳაჩვენებს დაბეჭდილი ამ დეკემბრის წიგნში წმიდა სტეფანეს ცხოვრებისა-თანა მოთხრობა პილატეზედ.—თჳნიერ ამისა, ჩუენ გვქონდა შემთხვევა ხილვად და მოსმენად ქართულს ენაზედ ბევრისა სხჳსა გჳარისაცა აპოკრიფულისა წერილებისა და მოთხრობისა. ზოგნი მათგანნი არიან ისე მტკიცედ დაცულნი, მშვენიერად დაწერილნი და ძვირ-ფასად შერაცხილნი, ვითარცა თჳთ ნამდვილნი წერილნი წმინდათა მოციქულთა და მამათანი. საკმაოდ გვიმტკიცებს ამას, სხჳათა შორის, წმიდა სტეფანეს ცხოვრებაზედ ზედა-წარწე-

(*) ამისთჳს რომ არა ჩანს ნამდვილი მწერალი მისი, არცა დრო გამოჩინებისა.

რილობა ესე: ,,მაღალ-ღირსო არხიმანდრიტო ნიკიფორე! (*) მიირთვი მცირე წიგნაკი ესე; საქართუელოსა შინა ძლიერად ვიშოვნე ესე, შავათ გარდამოვიღე, დედანი ამისი ხორასნიდამ დახხნილი ვნახე; სამ-გვარი ნაწერი იყო: კოპრჩსილოანი, მგრგლოვანი და ჭინჭვლის-ფეხი; მაშინვე თქუენთჳს დავხახე; ვგონებ არ გენახოთ... მშვენიერი ნათქუამის. ცოდვილი ბერი გაბრიელ"

ესრეთვე ვიცით ჩუენ, და უეჭველია სხუათაც იციან, ზოგიერთნი ძველნი მწიგნობარნი ქართუელნი, რომელთაცა თითქმის ზეპირად იციან ბევრნი აპოკრიფული წერილნი, და მით ამპარტავანებენ ვითარცა მრავალ-მეცნიერნი და უმეტეს სხუათა გულის-ხმის-მყოფელნი სარწმუნოების და კეთილ-მსახურების ძალთა და მნიშვნელობათა!.. მაგრამ ესოდენი მნიშვნელობა არა აქუს ამის ცოდნას და ვითხავს.

ახლა ღირსი არს კითხვისა: საითგან წარმოსდგა აპოკრიფული მწერლობა საქრისტიანოში და რა იყო მიზეზი ამათის განმრავლებისა?

პირველნი მიზეზნი ამისა, უეჭველია, იყუნენ თჳთ ძველნი ქრისტიანენი, გულ-მხურვალენი და ცხოველნი სარწმუნოებისა-თჳს და ყოვლისა მის, რაჲცა შეეხება საქმესა ღუთისასა. აღვსებულნი და განცხოველებულნი ამა სარწმუნოებითა, იგინი არა კმა-ყოფილდებოდენ ცხადითა და ჩუეულებრივითა, გარნა ზოგჯერ ფრიად შემოკლებულითა მოთხრობითა საღმრთოჲსა წერილისათა, არამედ განმარტებდენ ფანტაზიისა-მებრ თჳსისა ძალსა ღუთის სარწმუნოებისასა და უმეტესად სასწაულ-მოქმედებათა იესო ქრისტესთა. მაგალითებრ: ჩუენ ნამდვილად ვიცით და გვრწამს, რომელ იესო ქრისტე შთახდა ჯოჯოხეთად ყამსა ჯუარცმისა თჳსისა, მაგრამ ძლიერ

(*) ვინ იყო ეს ნიკიფორე—ვგონებ იციან მკითხველთა დიდი ქართული სადღესასწაულოდგან.

რ ე დ.

მოკლედ არის გამოხატული ესე ჩუენს საღმრთო წერილში,— და ნიკოდიმოსის აპოკრიფულს სახარებაში არის აღწერილი ეს გარე-მოება ესრეთ: „იოსებ არიმათიელმა ჰრქუა ურიათა: თქუენ რასა ჰკვირობთ, რომ იესო ქრისტე აღსდგა? არა მხოლოდ იგი აღსდ-გა, არამედ აღადგინნა სხუანიცა მრავალნი მკუდარნი, რომელნი გამოეცხადნენ მრავალთა იერუსალიმსა შინა; და უკეთუ თქუენ ვერ იცნობთ სხუათა, მაშ სიმეონს მაინც იცნობთ, რომელმანცა მიიქუა ურმა იესო მკლავთა ზედა თჳსთა, და ორთა ძეთა მისთა, რომელ-ნიცა აღადგინნა იესომ; ჩუენ ადრევე დავმარხეთ იგინი, ხოლო აწ საფლავნი მათნი არიან ცალიერ და თჳთ იგინი ცოცხალ, და იმ-ყოფებიან არიმათიასა შინა. მივავლინეთ ერნი, რომელთაცა ჰპოვეს სამარენი მათნი ცალიერნი.— მერმე იოსებმა ჰსთქუა: წარვიდეთ არიმათიად და ვპოვოთ იგინი. მაშინ აღსდგეს მღუდელთ-მთავარ-ნი — ანნა და კაიაფა, და იოსებ და ნიკოდიმოს, და გამალიილ და სხუანი მათ თანა, და წარვიდეს არიმათიას შინა და ჰპოვეს იგინი, რომელთა-თჳს იტყოდა იოსებ.— აღასრულეს მათ ლოცუა და მოი-კითხეს ერთმანეთი; მერმე წარვიდეს მათ თანა იერუსალიმად, სადაცა მიიყუანეს იგინი შესაკრებელსა (სინაღოღასა) შინა, და და-სხეს-რა კარები, დასდვეს შუა ადგილზედ ძველი სჯული ისრაილი-სა, და მღუდელთ-მთავართ ჰრქუეს მათ: იფიცეთ ღმერთი ისრაილი-სა, ღმერთი ადონა, და სთქვით მართალი, ვითარ აღსდეგით, და ვინ აღგაადგინათ თქუენ მკუდრეთით?— ისმინეს-რა ესე აღდგომილ-თა კაცთა, გამოისახეს პირთა თჳსთა ზედა სახე ჯუარისა, და მი-უგეს მღუდელთ-მთავართა: მოგვეცით ჩუენ ქაღალდი, მელანი და კალა-მი, და მისცეს მათ ესენი, ხოლო იგინი დასხდნენ და დასწერეს ესრეთ:

უფალო იესო ქრისტე, აღდგომაო და ცხოვრებაო ქუეყანისაო, მოგუანიჭე ჩუენ მადლი მოთხრობად შენისა აღდგომისა და სას-წაულთა შენთა, რომელნი აღასრულე შენ ჯოჯოხეთსა შინა!..

ამისა შემდგომად იწყება ვრცელი მოთხრობა მრავალ-გვართა სასწაულებთა იესო ქრისტესთა ჯოჯოხეთსა შინა. აქ ჩუენ ცხადად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის განმარტება და ცხოველად წარმოდგენა შემდგომთა სახარების სიტყუჱბთა: „ქუეყანა შეიძრა და კლდენი განსკდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესვენებულთა წმიდათანი აღსდგეს, და გამოვიდეს საფლავით მათით, და შემდგომად აღდგომისა მისისა შევიდეს წმიდასა ქალაქსა, და გამოეცხადნეს მრავალთა“ (მატთ. 27, 51—53)?—ამ გვარი მოთხრობა განუზომელის ძლიერებისა და მოქმედებისა-თჳს უფლისა იესოსა მოიყუანს ყოველს მორწმუნეს—ქრისტიანეს ღმობიერებაში,—და ამისთჳს არ არის საკვირველი, რომ ესენი ფრიად გამრავლებულან საქრისტიანოში და დაცულან ვითარცა საუნჯე ძვირ-ფასი.

იცოდნენ-რა ესე მტერთა ჭეშმარიტის სარწმუნოებისათა—მწვალებელთა, იგინიცა ცდილობდენ თავის მხრით შედგენასა და გამრავლებასა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა შორის აპოკრიფულის მწერლობისასა, რათამცა მით მიიდრიკნათ გულნი და თვალნი მათნი ფრიად სასმარის და საჭიროს სწავლა-მეცნიერებისაგან ამაოთადმი. ამისთჳს ზოგჯერ მიზეზნი აპოკრიფის შედგენისა და გამრავლებისანი იყვნენ მწვალებელნიცა, რომელნი მათ-მიერ მოგონებულთა საეკლესიო თხზულებათა ზედა ხშირად წააწერდნენ სახელებსა მოციქულთა და მახარებელთასა.—ხოლო ესე ყოველი განიხილეს და განსაზღვრეს წმიდათა მამათა და მსოფლიოთა კრებათა, რომელთაცა გვიჩვენეს ვითარცა ნამდვილნი და უტყუარნი წერილნი მოციქულთა და მახარებელთანი, ეგრეთვე საეჭვონი და ბოროტ-განზრახვით შედგენილნი. ამისვე მსგავსად და ამავე მიზეზით არიან შედგენილნი აპოკრიფნი წმიდათა-თჳსცა, ესე იგი—ცხოვრებისა და სასწაულებისა მათისა.

მღვდელი გიორგი ხ ე ლ ი ძ ე.

# რამდენიმე სიტყუა ჩუენი მღუდლების უზრუნველობაზედ შესახებ სასოფლო სასწავლებლების (შკოლების) გახსნისა.

---

,,თქუენ ხართ ნათელი სოფლისა.
(მათ. თავი 13, 14).

ქრისტესეულს მეცხრამეტე საუკუნეში ისრეთი ნაბიჯი წარსდგა განათლებამ, რომ, თითქმის, ყოველმა ხალხმა აგრძნა მისი საჭიროება და ბევრმა ისილა გემო სწავლა-განათლების სიტკბოებისა. ამას ცხადად გვიმტკიცებს ჩუენ, ერთის მხრით, განმრავლება სასულიერო და სახორციელო ჟურნალებთა და სხვათაცა კარგთა თხზულებათა; და მეორეს მხრით—განმრავლება სასწავლებლებისა.

რისგან მოხდა ესრეთი ნაბიჯის წინ-წარდგმა (პროგრესი) განათლებისა, მე მისს გამოკვლევას არ შევუდგები, მხოლოდ საგანი ჩემი ლაპარაკისა ეს არის: რამდენათ იგრძნეს ქართველებმა ეს საზოგადო განათლების საჭიროება, და თუ არა, ვინ არის ამაში დანაშაული?

ცოდვა იქმნება ვთქვათ, რომ, სხუათა შორის, ჩუენ ქართველებსაც არ ეგრძნასთ ძალა და საჭიროება განათლებისა, და კიდევაც არ აელოსთ ფეხი ნაბიჯის გადასადგმელათ, რასაც ცხადათ გვიმტკიცებენ სახელები ჩუენი ჟურნალებისა: ,,ცისკარი, საქართველოს სასულიერო მახარებელი, და მყოფი საქართველოს მოამბე.,, ესენი გვაუწყებენ გონების განათლების მოახლოებასა და საზოგადოს (სა-

სულიერო ჲ სახორციელოს) განათლების მოწევნასა. ერთი სიტყ-ვით, ყველანი ერთი ხმით გვიქადაგებენ: „გაიღვიძეთ, ქართველებო, გათენდა, კმარა ამდენი ძილი. ხედავთ ყველანი ადგნენ და საქმო-ბენ“? ან! ვინ იქნება ეგრეთი ქართველთაგანი, რომ ამ სიტყუებს ყური არ დაუგდოს ჲ თვალით არ გამოიხედოს!? მაგრამ ჰყავს ჩუენს სახლს ხელის-მიმცემი, თვალებისა აღმხილეველი ჲ ჭეშმარიტს გზაზედ დამაყენებელი?

ვინ არ იცის, რომ დიდი ხნის ავათ-მყოფს პირველ ადგომა-ზედ თუ ხელის მიმცემი არ ეყოლა,—თჳთონ ვერ ადგება; თუ-გინდ რომ კიდეც წამოდგეს, ვერ გაივლის თამამად. ესეც მოხდე-ბა ხშირად, რომ როცა ღრმა ძილიდგან კაცი მსწრაფლად ადგება, ვერ გაიგნებს გზასა, თუ გრძნობაში არ მოვიდა, ან მასწავლებელი არ ეყოლა.

ჩუენი მამულის და ხალხის წარსრული ცხოვრება შეიძლება დავადაროთ ავათ მყოფობასაც და ღრმა ძილსაც, ამიტომ რომ ჩუენი საქართველოს და ქართველების-ოდენი მწუხარება ანუ სამო-ქალაქო ხნეულება თითქმის არას მხარეს და არას ხალხს არ გამო-უცდია. იმდენს ხანს იყო აღშფოთებული და შეიწროებული ჩუენი ქუეყანა სხუა და სხუა მტერებისაგან, რომ საკვირველია ანკი როგორ გადარჩა ცოცხალი. ღუთის შეწევნით ამ ვაებას ჲ მწუხა-რებას გადაურჩნენ ჩუენი ქართველები, ისე რომ არ დაუკარგავთ არც თავიანთი სარწმუნოება და არც თავიანთი ენა; მაგრამ, ჩუენ-ულებისაებრ, შემდგომ განთავისუფლებისა დასუსტებულმა და ღო-ნე მიხდილმა ქართველებმა ისრეთს ღრმა ძილს მიეცნენ, რომ ეხ-ლაც ძლივს გამოახილეს თვალები, და არ იციან სით გადადგან ფეხი და რომელ გზაზედ გაიარონ.

აწ თავის თავად მოდის კითხვა: ვინ არის მოვალე, რომ აჩ-ვენოს მათ ჭეშმარიტი გზა განათლებისა, აღუხილოს თვალები უმე-

ცრებისგან და მარად წინაუძღოდეს — ეს მოვალეობა არის უფრო მღჳდელლებისა და არა სხვისა ვისმე; ამას მოითხოვს მათგან, პირ-დაპირ ყოვლის უმიზეზოთ, მათი თანამდებობა, მათი მოვალეო-ბა. მათ ეუბნება მაცხოვარი: „თქჳენ ხართ მარილნი ქჳეყანისანი, უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიმარილოს.“ კიდევ: „თქჳენ ხართ ნათელნი სოფლისანი“ (მათ. თავი 13—14.) ხე-დავთ რა ვალი აქჳსთ დანიშნული მღჳდლებს მაცხოვრისაგან სა-ზოგადოებაში? მართალია, ყოველი ქრისტიანი კაცი მოვალე არს აღუხილოს თვალი უმეცრებისა თჳსს მოყვასს და ძმას; მაგრამ მღჳ-დლები ყველა თანამდებობის კაცზედ უფრო ახლოს არიან ხალხ-ზედა და ყოველზედ უმფრო განვლენა და ზედ მოქმედება აქჳთ მათზედა. მათ ყოველთჳს უმფრო უჯერებს და ერწმუნება მდაბა-ლი ხალხი, ვიდრე სხჳას ვისმეს, ვინაიდგან იგინი სულიერნი მო-ძღჳარნი არიან. იტყვის ვინმე: რა უნდა ქმნან მღჳდლებმა? ისინი თავიანთ თანამდებობას ასრულებენ: წირვა-ლოცჳას არ აგდებენ, უნათლავად და უზიარებლად არავის ჰკვლენ, — და სხჳა რაღა უნ-და ქმნან? უბედურებაც ეს არის, რომ მმ. მღჳდლები მარტო ამ თანამდებობას ასრულებენ და სხჳას არას უგდებენ ყურს. განა მღჳდლების თანამდებობა მარტო ამაში მდგომარეობს? არა, ამით არ განისაზღვრება მათი მოვალეობა; მღჳდლის თანამდებობა გა-ნაყოფება ოთხ უმთავრეს ნაწილად. ა) ხალხის სწავლება; ბ) წმი-დათ ცხოვრება; გ) საიდუმლოების აღსრულება, დ) ლოცჳა ხალ-ხისათჳს. — აქედგან სჩანს, რომ ყრმების აღზრდა ანუ საზოგა-დოდ ხალხის სწავლება ეგრეთვე ვალი არის მღჳდლებისა.

მღჳდელი არის მამა დიდის სახლობისა — მრევლისა; მაშასა-დამე ის უნდა ზრუნვიდეს თვითეულის სულიერი შვილისათვის, როგორც საკუთარი ხორციელი შვილისათჳს. ის არ არის დიდი პატიოსნება და აღსრულება მისი მნიშვნელობისა, რომ საკუთარი

შვილები აღზარდონ სასწავლებელში; თავის ერი სანუ მრევლის უმეცრებისა თჳს მღუდელი ისე აგებს პასუხს წინაშე ღუთისა, როგორც საკუთარი თავის შვილებისა-თჳს.

ჭეშმარიტი მწყემსი ის არის, რომელიც ერთ-ნაირად უყურებს და უვლის ყველა ცხოვარს; არც-ერთს არ დაკარგავს და უგულებლად წარუდგენს თჳსს პატრონს. მაშ მმ. მღუდელებიც ამას უნდა ცდილობდნენ, თუ უნდათ, რომ ღირსი იყუნენ ჭეშმარიტის მწყემსის სახელისა და დღესა საშინელის განკითხვისასა უკლებლად და უზნაკლოდ წარუდგინონ თავიანთ მწყემსთ-მთავარს, მიბარებული მისგან მათდა სამწყსო და სთქუან: „აჰა მე და ყრმანი (შვილნი) ჩემნი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან.“

საზოგადო და საღმრთო ისტორიები ცხადათ მოგვითხრობენ ჩუენ, რომ ყოველი ხალხის განათლება დაწყებულა სასულიერო მხრიდგან. მაშასადამე ჩუენი მღუდლებიც მოვალე არიან და უფრო დროც ალის, რომ შეუდგენ ამ ღუთის და კაცის სასიამოვნო საქმეს, ესე იგი — ხალხის განათლებას და უმეცრებიდგან გამოყვანას.

მაგრამ რა უნდა ქმნან ამისთჳს მღუდლებმა, — რა საშვალობა, იხმარონ? სახელდობ — სასოფლო სასწავლებლების (შკოლების) გახსნა ახალმოზარდე ყმაწვილებისა-თჳს.

ამაზედ ძლიერ გაიკვირებენ, ნამდვილად ვიცი, მრავალნი მათგანნი და იტყვიან: სიდან სადაო, წმიდა საბაო! ვინ ჩუენ და ვინ შკოლების გახსნა! ეს მთავრობის საქმე არის. ჩუენ ამის ან თავი სადა გვაქუს და ან შეძლება? რომ ეს თქუენი საქმე და თქუენი ვალია, ამაზედ ეჭვიც არ არის და, გგონებ, ვერც იტყვით სირცხვილით ვარს. მართალია, რომ ეს მთავრობის საქმეც არის, და ის კიდევაც ცდილობს ამისთჳს; მაგრამ თქუენ, მამებო, მთავრობას რას უყურებთ, როდესაც თჳთონაც შეგიძლიათ გამოიგსნათ კაცი სიბნელისაგან, სანამ მთავრობა მოუშველებოდეს. არ გაგიგონიათ ეს ქა-

რთული მამა-პაპური ანდაზა? ხანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გაამძვრესო.

ქრთამი თუ არ მოგცათ კაცმა, ისთე არაფერს გააკეთებთ? ცოტა თქჳენც უჩვენეთ წინ და წინ მთავრობას, რა სარგებლობას შვრებით ხალხისათჳს, რომ მთავრობამაც დაინახოს, რომ უნაყოფოთ არ დარჩება შკოლების გახსნა ჩჳენ სოფლებში, და ამ ნაირად თავისი ფიქრები აღსრულებაში მოიყვანოს, და თქჳენც დაგაჯილდოვოს. სხვებრ, თუკი არაფერს გააკეთებთ და არც დაანახვებთ მთავრობასა, რასა-თჳს უნდა მოგცესთ ჯილდო? კაცი ის არის, ვინც თავის შრომას მისხლობით არ სწონის. თქჳენ წინდა-წინ ნუ აფასხებთ იმას, რაც არ გაგიკეთებიათ. ჯერ ეცადეთ თქჳენის მხრით და მთავრობა არავის არ დააგდებს უჯილდოვოთ, თუმც ღირსი იქმნება.—ამის მაგალითსა ბევრსა ვპოვებთ, თუ თვალს გავახელთ ვინმე.

მმ. მღჳდლები ამასაც ამბობენ: თუ კი არ შეგვიძლიან? გხ-თქვათ, რომ ყველას არ შეუძლიანთ; ხოლო შემძლებელნი რას უშუ-რებენ, რომ დაუკრეფიათ გულზედ ხელები და დაუმუწავთ პირი. ეს ნამდვილია, რომ ბევრნი იპოვებიან საქართველოში ისრეთნი მდიდარნი მღჳდელები, რომელთაც არა თუ უბრალო შკოლების გამართვა შაუძლიანთ, არამედ თჳთ ყმაწვილებსაც შაინახვენ თავიანთ ხარჯზედ. მაგრამ ვაი გაუმაძღრობავ! მამონის თაყვანის-მცემელნი არიან და მათგან ან მამული და ან მათი სულიერი შვილები რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ? სხვის შვილებისათჳს როგორ რასმე მოიმეტებენ იგინი და გამოზრდიან მათ, ოდესაც თავიანთ შვილებსაც ვერა ზრდიან კარგად; იშოვნიან თუ არა ორ გროშს, მაშინვე ან პრიკაზში უნდა შაიტანონ და ან მიწაში ჩაფლან. ღმერთმა იცის რას უნახავენ. თვითან რომ კითხოთ, ამას იტყვიან: არა გვაქჳს რაო, და თუ გუაქჳს რამე, შვილებს უნახავთო. მართალია, შვილებს

უნახავენ; მაგრამ რატომ იმდენს არ ფიქრობენ, რომ სჯობს მოისმარონ და შვილებსაც მოახმარონ: გამოზარდონ როგორც რიგია. ის არას სჯობს, რომ შვილები მდიდარი დატოვონ ქვეყანაზედ ჭკუით და სწავლით, ვიდრე ფულებით? ბევრი გვინახავს და გაგვიგონია, რომ მდიდარნი შვილები უჭკუობით მალე დაღარიბებულან და წინააღმდეგ—ღარიბის შვილები კარგი სწავლულებით მალე გამდიდრებულან.

საზოგადოთაც რომ ვსთქჳათ, რა დიდი შრომა და შეძლება უნდა სოფელში შკოლების გამართვას? ვგონებ, ყველა ეკკლესიას ჰქონდეს თითო პატარა სახლი, და თუ-გინდ არა ჰქონდეს, ყველა მღჳდელს შეუძლია შეაგროვოს ხალხს და საზოგადო შრომით გააკეთებინოს უბრალო სახლი; შეკრიბოს ყმაწვილები და ასწავლოს; ვგონებ, არც თითო მაური დაიშურონ მამებმა თავიანთ შვილებისათჳს აზბუკების საყიდლათ (*), თუმც მოიმდომებს მღჳდელი და მიიღებს ამნაირ მზრუნველობას. თუ ამასაც ვერ მოახერხებენ, კითხვა და წერა ხომ იციან; დასწერონ პატარა ქარტებზედ და ასწავლონ ყმაწვილებს მხედრული კითხვა და წერა. როცა ხელით ნაწერ კითხვას მიეჩვევიან, აღმოუწეროს კაი წიგნებიდგან პატარა მოთხრობაები, თუგინდ სიბრძნე სიცრუის წიგნისაგან და ასწავლოს. გარდა ამისა ელაპარაკოს სიტყვიერად და ცოტა მაინც გააგებინოს რამე ქვეყნისა.

სხჳა არა იყოს რა, ამას მაინც გაიგებენ საწყალი ჩჳენი გლეხები და მათი შვილები, რომ მათ არ აქჳსთ დახშული კარი განათლებისა და სწავლისა. იმათ გონიათ, რომ კითხვა და წერა, ანუ საზოგადოთ სწავლა, მხოლოდ თავადთა და აზნაურთა კუთვნილება არის.

---

(*) ქართული აზბუკა, ძლიერ კარგი ყმაწვილებისათჳს, ათ გროშათ იყიდება ეხლა.

ვინ არ წაგიკითხავს ი. ჭავჭავაძის რომანი: „კაცია ადა-მიანი„? ჩვენი ქართველი გლეხი განკვირვებით ამბობს; „თურმე გლეხსაც ნება ჰქონია სწავლისა!„ გვონებ ყველას შეეძლოს ამნაი-რად ყმაწვილების სწავლება. ამას არ უნდა არც დიდი შეძლება, არც დიდი სწავლა და ნიჭი, და არც დიდი მოხერხება, თვინიერ ერთი სურვილისა.

მაგრამ, მართლა ჩვენ მმ. მღვდლებს ესეც აქვსთ სახეში: თუ კი ჯამაგირს არ მოგვცემენ, რისათვის ვასწავლოთ ტყუილათა? ვაი უმეცრებავ! რას ვხედავთ ამას? მარტო ჩვენი მღვდლები ფი-ქრობენ ასთე და არა სხვანი. მთელს რუსეთში თითქმის სოფელი არ არის, რომ სასწავლებელი არ იყოს; მაგრამ მღვდლებს ჯამა-გირს არ აძლევენ. თვითონ მღვდლები ისთე ხსნიან სასოფლო სა-სწავლებლებს, მთავრობას მხოლოდ ნება დართვის მეტს არას კი-თხავენ. სირცხვილია, პატიოსანნო მამანო, ამ ნაირი ფიქრი. ყო-ველი შრომისათვის აქა-ნუ ელებთ ჯილდოს, თუ ზეციერი ჯილდოც გინდათ. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ-ნაირი შრომა არაოდეს არ დარჩება დაუფასებლათ არც ამ ქვეყანას. სხუა არა იყოს რა, შთამამავლობა დააფასებს და მარადის კურთხევით მოგიხსენებსთ;—თუ არა და, ამ ნაირი უზრუნველობისა-თჳს, იცო-დეთ, მოვა იმისთანა დრო, რომ შთამამავლობა თქუენი თქუენ საფლავზედ გადაგაფურთხებს. შთამამავლობაში კაი სახელის დაგ-დება დიდი ჯილდო არის. თუგინდ ესეც არ იყოს, თქვენ მოვა-ლენი ხართ უფასოთ ხალხის სწავლებისა. რათა გვავიწყდებათ მაც-ხოვრის სიტყვები: „უსასყიდლოთ მიგიღებიესთ და უსასყიდლოთ მისცემდით:" (მათ. თავი 10, 8).

1865 წლის ნოემბრის
25 დღეს.

გიორგი იოსელიანი.

# წიგნი რედაქტორთაგან.

ყოვლადპატიოსანო მამაო და მშრომელო გიორგი, რედაქტორო საქართჳელოს სასულიერო მახარებელისაო!

ჭეშმარიტად მოვალენი ვართ ყოველნი ქრისტეს-მოყჳარენი პირნი წრფელის გულით გიძღვნათ მადლობა, მამაო გიორგი, თქჳენის ასრეთის კეთილის შრომისათჳს. უკეთუ ამ მოკლეს დრო-ში არ გამოცემულ-იყო თქჳენი მახარებელი, მრავალნი ჩჳენთა ცართლ-მადიდებელთაგანნი მიქცეულ-იქმნებოდენ ჭეშმარიტის გზი-საგან ბოროტ განზრახულებასა ზედან, ასე რომელ აღარ ეცოდი-ნებოდათ ერთი ჭეშმარიტი ღმერთი—სამ-პიროვანი, ვითარცა უმ-თავრესი საღმრთო დოღმატი ჩჳენის სარწმუნოებისა, რომლისა განსჯაში ვიყავით ფრიად შემცთარნი.

ძველს საქართველოში ჩჳეულებად ჰქონდათ, რომელ ყოველ-ნი კეთილ-შობილთ ყრმანი პირველად უნდა აღეზარდათ სწავლითა საღმრთო წერილისათა; შემდგომ ამისა, უკეთუ შესაძლებელ იყო, მისცემდნენ ყრმათა სამხედრო სასწავლებელშიაცა. ამა ვითარის ჩჳე-ულებით დანერგულ-იყო ჩჳენს საქართველოში შიში ღჳთისა და სწავლა მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა. ხოლო აწ-მყოსა საუ-კუნესა შინა სრულიად გამოირიცხა ჩვეულებიდგან ყრმათა საღმრ-თო წერილის სწავლა, და ამისათჳს უმეტეს ნაწილთ ქრისტიანეთა

აღარ ვუწყოდით საღმრთო ძალი ჭეშმარიტისა მართლ-მადიდებე-ლისა სარწმუნოებისა. (*)

ამ-გუარნი უსწავლელნი ხალხნი უსაფუძლოთ ღაღადებდნენ და იჭვნეულობდნენ უფრო სამებით ერთ-არსს ღმერთზედ და მისს წმიდა სარწმუნოებაზედ. თუმცა ყოველივე არის დამტკიცებული ნამდვილად და ჭეშმარიტად საღმრთო წერილში; მაგრამ ახალ ხალხთ არა ჰსწორეთ მიაქციეს ყურადღება მას ზედა და გამოიძიეს საფუძ-ვლიანათ იგი, რადგანაც მრთელს საღმრთო წერილში არის დაფან-ტული დოღმატიკა, და არა იყო იგი გამოკრებილი აქამომდე ჩუენს ქართულს ენაზედ ისრე ადვილ გასაგონათ, როგორც თქუენს დოღმატიკაში არის ყოველივე სრულებით. ძალმან ღჳთისსამან, ვგონებ, მომეტებულად ეხლა მიაქციოს გონება მათი ამ თქუენს ჟურნალზედ, რათა წარიკითხონ იგი გონიერებით და ყოველივე იჭვნეულება მათი განქარდეს. მე უღირსი მრავალ-ჯერ ვიყავ გულით შეძრწუნებული, მესმოდა რა წინააღმდეგი ჰსჯა საღ-

(*) პირველი საფუძველი, დამაკავშირებელი კაცისა ღჳთისა-თა-ნა, არის საღმრთო წერილის კითხუა და სწავლა; მაგრამ, როგორც ბრძანებს დამწერი ამ სიტყვებისა, ეს უმთავრესი და უსაჭიროესი ყოვლისა მეცნიერებისა საგანი ძალიან დაამდაბლეს და დაივიწყეს უმეტესთა ნაწილთა საქართუელოს ახალ-მოსწავლეთა ყრმათა, უფ-რო საეროს წოდებისათა, თუმცა არცა სასულიერო წოდების შვილ-თა იციან იგი ვითარცა ჯერ-არს. ამის ნაკლულევანებას გრძნობენ მრავალნი განათლებულნი და ღჳთის-მოყუარენი პირნი. მაგალ. ერთმა წარჩინებულის მამის შვილმა და განათლებულმა კნეინამ.... დიდის სახოებით გვთხოვა ჩუენ ამ მოკლეს დროში: ,,ჩემს შვილს, ახალ-მოსწავლე ყმაწვილს, ს უ ც უ რ ი კითხუა ასწავლეთო, რომ ღმერთი და სარწმუნოება არ დაივიწყოსო; პირველი მიზეზი ღჳ-თის ხსოვნისა და შიშისა—საღმრთო და საეკკლესიო წიგნების კი-თხუა არისო''.—გონიერი აზრია! ზოგიერთს ახალ-განათლებულს ქართუელს რომ სუცური წიგნი აჩვენო, ვერ გაიგებს თუ ქართუ-ლი არის—სომხური ეგონება, ანუ სხუა რომელიმე ენა?!. რ ე დ.

მრთოლ საგნებზედ ისეთ პირთაგან, რომელთაცა არათუ არ ესწავ-ლათ საღმრთო წერილი, არამედ არცადა კი წაეკითხათ იგი, მხო-ლოდ მიზიდულნი იყვნენ მათვე ნაირ ურწმუნო და უსაფუძლო პირ-თა-გან. სრული იმედი მაქჳს, რომ ამ-ნაირი უსწავლელთ გონება განანათლოს ძალმან თქჳენის სასულიერო მასარგებლისამან და აღმობრწყინდეს მადლი ღჳთისა ჩჳენ ზედა თქჳენის შრომითა.

ამისათჳს ყველას გვმართებს მადლობის შეწირვა ღჳთისა, რო-მელ ამა უბედურს საუკუნესა შინა მოგვცა მწყემსად მთავარი მზ-რუნველი, რომლისაცა ნებართვითა გაიხსნა გამოცემა თქჳენ-მიერ სასულიერო მასარგებლის ჟურნალისა. ეგრეთვე გვმართებს ყოველთ ქრისტეს მოყჳარეთა ერთა წრფელის გულით გაძლიოთ შემწეობა ხელის მოწერითა ჩჳენითა; თითქმის იგინიცა, რომელთაცა არა გჳაქჳს დღიური საზრდელი, მუშაკობითა და მდედრთ ხელთ-საქ-მნარითა უნდა ვიღებდეთ ფასსა და გაძლევდეთ შემწეობასა, რათა შეუწყევნელობითა და შეუძლებლობითა არა და გვეხშას ესრეთი სასულიე-რო სასარგებლო ჟურნალი. მოვაკლოთ მცირე კმაყოფილება მომაკვდავ-სა ხორცსა ჩჳენსა, და ვექმნეთ შემწედ მზრუნველსა და სასულიერო მშრომელსა ქრისტეს-მოყვარეთა საქართჳელოს შვილთა-თჳს. (*)

კნიაჟნა ნინა ამილახვარი.

---

(*) მადლობა ღმერთსა, რომ მართლა ამ უბედურს საუკუნეში კიდევ იპოებიან დედათა სქესისა პირნი, რომელთა ახსოვთ ღმერთი გუ-ლითა!.. ვინ არა იცის, რომ უმეტესი ნაწილი ამა სქესისა შეპყრო-ბილ-არს აწ და აღტაცებულ მხურვალებითა ხორციელისა სიყჳარული-სა და ამაოებისათა ვიდრე შეძლადმდე, ვითარცა გამოსახტა იგინი განსვენებულმან კნიაზ ერისთავმან?.. ხოლო მომწერსა ჩჳენსდა ამა წერილისასა, უპატივ-ცემულესს კნიაჟნას ნინა გიორგის ასულს, პირ-უთნებელად ეთქმის სიტყჳა ესე ძველისა ნინასი, ქრისტეს მქადა-გებელისა: „ასულო სარწმუნოებისაო! გხედავ შენ, ვითარცა პირ-ველთა მათ დედათა, მტკიცეთა სარწმუნოებასა და სიყჳარულსა ზე-და ქრისტესსა, და გნებავს შრომათა ჩემთა ცნობაჲ, გლახაკისა მო-ნისა, და გაუწყოცა, რამეთუ არა დაივიწყიან შვილთა საქართჳელო-სათა სარწმუნოება შენი და შეწყნარება ჩემი, და სიყჳარული ღჳ-თისა, რომელ გაქჳს.“

რედ.

# ПОУЧЕНІЕ

Главнаго Священника Кавказской Арміи, Протоіерея Стефана Гумилевскаго, по случаю освященія храма въ Пасанаурѣ, на военно-грузинской дорогѣ, для военныхъ чиновъ VIII округа Путей Сообщенія, 21-го ноября 1865 года.

---

Благодареніе Всевышнему Создателю, даровавшему помощь отъ Сіона на созданіе сего храма! ибо *аще не Господь созиждетъ домъ, всуе трудитася зиждущіи* (Пс. CXXVI).

Слава всесвятому, животворящему Духу! Его благодатію освященъ нынѣ сей храмъ Божій.

Честь и похвала Военному Начальству! По его мысли устроенъ прекрасный храмъ сей. Эта мысль объ угожденіи Богу—Царю небесному соединена съ мыслію о служеніи Царю земному. Здѣсь ясно видно исполненіе и побужденіе къ исполненію заповѣди Христа Спасителя: *воздадите кесарева кесареви, и Божія Богови* (Мат. XXII—22).

Храмъ сооруженъ для православныхъ воиновъ, устрояющихъ и исправляющихъ земной путь чрезъ горы и ущелія Кавказа. Здѣсь для нихъ мѣсто молитвы, покоя и отрады, училище вѣры и благочестія, руководство къ вѣрному ис-

полненію обязанностей въ отношеніи къ Богу, Государю и отечеству, и *лѣствица* духовнаго пути, возводящая отъ земли на небо.

Храмъ имѣетъ видъ креста, какъ символъ пути въ царство небесное, усѣянное терніемъ трудовъ, горестей и страданій.

Храмъ посвященъ имени первоверховныхъ апостоловъ Петра и Павла—въ ознаменованіе особеннаго ихъ покровительства и предстательства предъ Богомъ за усердныхъ посѣтителей этого святилища.

Но при такомъ радостномъ событіи раждается вопросъ: какъ можно создать храмъ Царю неба и земли, безконечному и невмѣстимому? Какъ опредѣлить особое жилище существу вездѣсущему и вся исполняющему,—Тому, Которому *престолъ небо, а земля подножіе ногъ* (Ис. LXI—1)?

Разумъ человѣческій путемъ естественнаго разсужденія не могъ бы дойти до разрѣшенія этой задачи, если бы не разрѣшила ее сама премудрость Божія, въ тайнѣ сокровенная.

## ХРИСТІАНЕ!

Въ новоосвященномъ храмѣ приличнѣе всего предложить вашему вниманію поученіе о значеніи, началѣ, продолженіи и концѣ храма видимаго.

*Богъ живетъ на небесахъ, во свѣтѣ неприступномъ.*— (Пс. 11—4). Безпредѣльная вселенная есть величественный храмъ вѣчной славы Тріvпостаснаго Божества. Безчисленныя творенія міра духовнаго и вещественнаго, невидимаго и видимаго суть органы, немолчно прославляющіе безконечныя совершенства Всемогущаго Творца—Его величіе, премудрость и благость (Пс. XLVIII).

Человѣкъ среди храма природы, подъ этимъ прекра-

снымъ и великолѣпнымъ сводомъ небеснымъ, находитъ невыразимую отраду и покой душѣ своей. Созерцая въ ней безпредѣльную славу Творца и Его всеблагую, премудрую и всемогущую десницу, онъ отверзаетъ въ душѣ своей внутренній слухъ, которымъ слышна дивная гармонія міроздапія.... Въ неизъяснимомъ восторгѣ духа—онъ самъ дѣлается струною благогласною и настраивается для выспренней молитвы къ своему Создателю....

Почему же человѣкъ ищетъ присутствія Божія въ храмѣ, когда для вездѣсущія Божія не нужно никакого особеннаго мѣста?—Потому что человѣкъ ограниченъ и, до нѣкотораго степени своего усовершенія, имѣетъ нужду въ ограниченномъ явленіи присутствія Божія; ему нуженъ предѣлъ, гдѣ бы совершилось прикосновеніе къ Вездѣсущему и Безпредѣльному.

Глубокое основаніе святости храма Божія есть присутствіе Божіе въ храмѣ, таинственное и непостижимое, а иногда являемое въ особенныхъ знаменіяхъ: *Господь Самъ во храмѣ святѣмъ Своемъ.* (Пс. X—4). Онъ Самъ сказалъ мудрѣйшему изъ царей земныхъ Соломону о храмѣ: *будутъ очи ту* (тамъ) *и сердце Мое во вся дни* (3 Цар. IX—3).

Присутствіе Божіе въ храмѣ и общеніе съ вѣрующими есть такое благо, выше и драгоцѣннѣе котораго для нихъ нѣтъ ничего на землѣ.

Первый на землѣ храмъ Божій былъ самый рай: тамъ Богъ благодатно являлся человѣку; тамъ человѣкъ, освященный образомъ Божіимъ, былъ непорочнымъ священникомъ, а видимою таинственною святынею было древо жизни, отъ котораго онъ таинственно вкушалъ нетлѣнную жизнь. Величайшимъ благомъ для перваго человѣка въ раю было ближайшее общеніе его съ Творцемъ своимъ. Богъ сообщалъ озареніе его уму, направленіе и утвержденіе въ добрѣ его волѣ,—сообщалъ ему Свою вседѣйствующую

силу, для сохраненія и возращенія духовной его жизни и споспѣшествованія естественнымъ силамъ его къ достиженію высшаго совершенства, къ которому онѣ предназначены. Человѣкъ былъ живымъ храмомъ Божіимъ.

Но съ тѣхъ поръ, какъ человѣкъ грѣхопаденіемъ сокрушилъ въ себѣ образъ Божій, явилась потребность видимаго, образовательнаго, тайноводственнаго храма Божія.

У древнихъ патріарховъ, кочевавшихъ въ шатрахъ, храмъ существовалъ въ жертвенникахъ; тамъ, гдѣ являлся Богъ, патріархъ устраивалъ жертвенникъ, и наоборотъ— тамъ, гдѣ патріархъ созидалъ жертвенникъ, являлся Богъ ознаменовать Свое благоволеніе надъ жертвенникомъ и надъ создателемъ его.

Богъ явился Ною, для сохраненія его отъ потопа, и тотчасъ по потопѣ Ной создалъ жертвенникъ Господу; Ной вознесъ воссожженіе на жертвенникъ, и Господь вновь явился благословить обновленный потопомъ міръ (Быт. VIII—20). Господь явился Аврааму, и на мѣстѣ явленія Авраамъ создалъ жертвенникъ Господу (Быт. XII—7). Господь явилъ Свое присутствіе Іакову въ видѣніи *лѣствицы*, которая утверждена была на землѣ и возвышалась до небесъ; по ней восходили и нисходили Ангелы Божіи. Пораженный чуднымъ видѣніемъ Іаковъ воскликнулъ: *есть Господь на мѣстѣ семъ; страшно мѣсто сіе:*—это *домъ Божій*, это *врата небесная!* (Быт. XXVIII—16, 17—19). И Самъ Господь указалъ Іакову это мѣсто Своего явленія для созданія жертвенника: *взыди на мѣсто Веѳиль* (домъ Божій), *и живи тамо, и сотвори тамо жертвенникъ Богу, явльшемуся тебѣ* (Быт. XXXV—1).

Когда патріархальное племя, въ которомъ сохранилось вѣдѣніе истиннаго Бога и откровеній Его, возрасло и образовалось въ народъ, тогда устроенъ былъ храмъ подъ видомъ *Скиніи*. Чертежъ сего храма принесенъ былъ съ

небесъ; Господь заповѣдалъ Моусею: *виждь, да сотвориши* (скинію) *по образу, показанному тебѣ на горѣ* Синаѣ (Исх. XXVII—8).

По тому же чертежу, но съ большимъ великолѣпіемъ, созданъ былъ послѣ Скиніи—храмъ Соломоновъ въ Іерусалимѣ, какъ въ средоточіи земли. Этотъ храмъ ветхаго завѣта у народа Божія былъ единственный въ цѣломъ мірѣ. И хотя за грѣхи народа онъ былъ разрушенъ Вавилонянами—врагами народа Іудейскаго, но опять возстановленъ за раскаяніе сего народа. Самъ Господь посылалъ пророковъ Аггея и Захарію—побуждать Іерусалимъ и всѣхъ Іудеевъ къ возсозданію храма.

Мысль о святости храма Божія сохранилась и въ христіанствѣ. Первоначальнымъ образцемъ храмовъ христіанскихъ послужила, безъ сомнѣнія, та *горница велія*, въ которой Іисусъ Христосъ установилъ и въ первый разъ совершилъ таинство Тѣла и Крови Своей,—та горница Сіонская, въ которой Духъ Святый въ видѣ *огненныхъ языковъ* сошелъ на Апостоловъ (Дѣян. 11—1—9).

Такъ храмъ или домъ Божій въ человѣчествѣ есть учрежденіе Божественное; по благодати Божіей, онъ явился сперва въ жертвенникахъ, потомъ въ скиніи Моисеевой, далѣе въ храмѣ Соломоновомъ и наконецъ, съ обиліемъ благодати, въ храмахъ христіанскихъ.

Но вотъ непостижимое таинство для разума: храмъ Божій есть чувственное изображеніе духовнаго храма, который есть самъ человѣкъ—христіанинъ. Ап. Павелъ пишетъ къ вѣрующимъ: *не вѣсте ли, яко храмъ Божій есте и Духъ Божій живетъ въ васъ? Храмъ Божій святъ есть, иже есте вы. И не вѣсте, яко тѣлеса ваша храмъ живущаго въ васъ Святаго Духа суть, Егоже имате отъ Бога?* (1 Кор. III—16, 17—19).

И такъ мы должны стараться, чтобы въ насъ тоже

было и тоже совершилось, что бываетъ и совершается въ святыхъ храмахъ. Мы въ храмѣ видимъ иконы Господа и Святыхъ Его,—и въ душѣ нашей да будетъ предъ очами ума нашего предначертанъ Христосъ (Гал. III—1); въ храмѣ мы видимъ горящія лампады и свѣчи,—и въ душѣ нашей да освѣщаются всѣ помышленія наши свѣтомъ Божественнаго Евангелія; въ храмѣ воскуряется предъ Богомъ ѳиміамъ кадильный,—да исправится и наша молитва яко кадило благовонное; въ храмѣ совершается Богослуженіе, преподается ученіе о вѣрѣ и благочестіи, воспѣваются священные гимны,—да *пребудемъ и мы во всякой премудрости, учаще и вразумляюще себе самѣхъ во псалмѣхъ и пѣніихъ и пѣснехъ духовныхъ, въ благодати поюще въ сердцахъ нашихъ Господеви.* (1 Кол. III—16).

Имѣя въ себѣ то, что видимъ въ храмѣ Божіимъ, мы и сами, *яко каменіе живо, зиждемся во храмъ духовенъ, святительство свято, возносити жертвы духовны, благопріятны Богови Іисусомъ Христомъ.* (1, Петр. 11—5). Каждый изъ насъ долженъ пещись о созиданіи, освященіи и святомъ употребленіи въ видимомъ храмѣ собственнаго храма Богу, чтобы Господь благодатно пребывалъ въ храмѣ души нашей, чтобы въ ней было свѣтло, чисто, благолѣпно какъ на небѣ. И какое блаженство для истиннаго христіанина въ храмѣ! Какъ Адамъ во Эдемѣ таинственно вкушалъ отъ древа жизни нетлѣнную жизнь, такъ христіанинъ въ храмѣ, на трапезѣ Господней, отъ плода пшеницы и лозы виноградной, таинственно и существенно вкушаетъ безсмертную жизнь Божественнаго Тѣла и Крови Христовой....

Къ концу временъ, когда преобразится весь міръ, человѣчество придетъ въ такое состояніе, что ему не нуженъ будетъ храмъ; это состояніе новаго Іерусалима подъ новымъ небомъ на новой землѣ. Тайновидецъ Іоаннъ указуетъ ту отличительную черту новаго Іерусалима, что

въ немъ *нѣтъ храма: Господь бо Богъ Вседержитель храмъ ему есть и свѣтильникъ его Агнецъ*. (Апок. XXI—22—23). Обновленный человѣкъ будетъ жить въ Богѣ и во Христѣ какъ во храмѣ, и въ Немъ самомъ будетъ обрѣтать то блаженство, котораго мы достигаемъ здѣсь посредствомъ храма. Свѣтильникъ—Агнецъ есть открытый свѣтъ Богочеловѣка Іисуса, который своимъ человѣчествомъ будетъ умѣрять свѣтъ Божества и Своимъ Божествомъ просвѣщать и блаженотворить человѣчество.

Достигнемъ ли мы такого блаженства, когда грѣхъ—изчадіе діавола—такъ странно изуродовалъ и обезобразилъ духовную нашу природу? Ахъ, какъ мы несчастны и жалки! Исполняя только по наружности обязанности христіанина и члена общества, мы похожи на *гробы повапленные* (Мат. XXIII — 27), которые снаружи кажутся красивыми, а *внутрь-уду полны костей мертвыхъ и всякія нечистоты*. Дерзаемъ ли надѣяться наслѣдовать царствіе небееное мы, по духу мертвые, хладные и сухіе, какъ разсѣянныя среди поля кости въ чудномъ видѣніи Іезекіиля? *Оживутъ ли кости сія?* О, Ты Самъ, Жизнодавче, *рцы костемъ симъ: се Азъ введу въ васъ Духъ животенъ, и дамъ Духъ мой въ васъ, и оживете и уьсте яко Азъ есмь Господь* (Іезек. XXXVII—3).

Да пребудетъ благословеніе Твое, Господи, на храмѣ семъ и да нисходитъ благодать Твоя на горы Кавказскія, какъ *роса Іермонская на горы Сіонскія*! (Пс. CXXXII—3). Да возрадуются Казбекъ и Эльбрусъ, какъ Ѳаворъ и Ермонъ о имени Твоемъ во вѣки! Аминь.

*Протоіерей Стефанъ Гумилевскій.*

# Пожертвованія въ пользу Кубинской церкви.

ЕГО ИМПЕРАТОРСКОЕ ВЫСОЧЕСТВО Великій Князь Намѣстникъ Кавказскій, при посѣщеніи въ минувшемъ октябрѣ мѣсяцѣ г. Кубы, Бакинской губерніи, обративъ вниманіе на ветхое и крайне бѣдное зданіе тамошней православной церкви, изволилъ собственноручно открыть подписку на сооруженіе новаго храма въ Кубѣ, пожертвовавъ на сей предметъ отъ себя и августѣйшаго своего семейства 1000 рублей; придворные чины и должностныя лица, находившіеся при семъ, пожертвовали отъ себя 240 рублей.

# Библіографическія извѣстія.

---

Объявленіе о продолженіи въ 1866 году изданій: духовнаго учено-литературнаго журнала „СТРАННИКЪ" и газеты „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ" политическихъ, общественныхъ и литературныхъ извѣстій.

Современное религіозно-нравственное состояніе русскаго общества, вызвавшее въ 1860 году появленіе на поприщѣ отечественной духовной журналистики—новаго органа подъ именемъ „СТРАННИКА", требуетъ продолженія его дѣятельности и въ будущемъ году. Таково нетолько личное наше убѣжденіе, но еще болѣе—убѣжденіе огромнаго числа нашихъ читателей. Уступая этому требованію нравственнаго долга, налагаемаго на насъ священнымъ нашимъ призваніемъ, мы рѣшились и въ слѣдующемъ 1866 году продолжать изданіе своего журнала по тойже, одобренной святѣйшимъ Сvнодомъ программѣ, по которой онъ издается уже шестой годъ.

Читателямъ нашимъ извѣстно, что съ 1-го января 1864 года въ собственность редакціи „СТРАННИКА" поступила и—основанная по ея же мысли въ 1863 году, хотя и состоящая подъ особою редакціею (А. И. Поповицкаго), газета: „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ" политическихъ, общественныхъ и литературныхъ извѣстій. Сообщая читателямъ факты изъ области общественной жизни, политики и литературы, и въ тоже время не разрушая, а поддерживая и развивая нравственно-религіозныя убѣжде-

нія въ своихъ читателяхъ, „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ“ донынѣ не упускалъ безъ вниманія и не будетъ упускать ни одного болѣе или менѣе важнаго явленія въ ходѣ общественной жизни, если оно имѣетъ какое либо отношеніе къ руководящимъ его началамъ. Въ „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ“ вошло очень много статей, касающихся вопроса объ улучшеніи быта духовенства, объ участіи духовенства въ дѣлѣ народнаго образованія, о выборномъ началѣ, о нѣкоторыхъ улучшеніяхъ въ церковной практикѣ, и т. п. Такія и подобныя статьи „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ“ будетъ представлять общему вниманію и въ будущемъ году, и мы надѣемся, что лица духовнаго званія не откажутъ ему въ своемъ содѣйствіи, сообщеніемъ разнаго рода замѣтокъ и корреспонденцій, входящихъ въ его программу.

**Условія подписки** на каждое изъ нашихъ повременныхъ изданій, или на оба вмѣстѣ, остаются прежнія, а именно: 1) за годовое изданіе „СТРАННИКА“, состоящее изъ 12-ти книжекъ, со всѣми приложеніями, портретами, и т. под., съ пересылкою во всѣ почтовыя мѣста имперіи, *четыре рубля серебромъ;* 2) за годовое изданіе „СОВРЕМЕННАГО ЛИСТКА“, состоящее изъ 104 нумеровъ (эта газета выходитъ два раза въ недѣлю), съ пересылкою во всѣ почтовыя мѣста, также *четыре рубля серебромъ;* 3) для подписывающихся на „СТРАННИКЪ“ и „СОВРЕМЕННЫЙ ЛИСТОКЪ“ вмѣстѣ, годовая плата на послѣдній понижается до *трехъ рублей*, и такимъ образомъ за оба изданія—журналъ и газету слѣдуетъ высылать *семь рублей серебромъ*.

Гг. иногородные благоволятъ адресоваться *исключительно* такъ: Въ редакцію духовнаго журнала „СТРАННИКЪ“ въ С. Петербургѣ.

Редакторъ и издатель: *Протоіерей Василій Гречулевичъ.*

Объ изданіи ПОЛТАВСКИХЪ ЕПАРХІАЛЬНЫХЪ ВѢДОМОСТЕЙ въ будущемъ 1866 году.

Изданіе ПОЛТАВСКИХЪ ЕПАРХІАЛЬНЫХЪ ВѢДОМОСТЕЙ будетъ продолжаться и въ будущемъ 1866 году по прежней, утвержденной Святѣйшимъ Сѵнодомъ программѣ.

Полтавскія Епархіальныя Вѣдомости будутъ выходитъ по прежнему 1 и 15 числа каждаго мѣсяца отдѣльными выпусками въ объемѣ отъ 3 до 4-хъ и болѣе печатныхъ листовъ. Во избѣжаніе утраты вкладныхъ листовъ, *всѣ экземпляры будутъ брошированные.*

ЦѢНА годовому изданію остается прежняя: съ пересылкою и доставкою 5 рублей серебромъ.

Подписка принимается въ ПОЛТАВѢ, въ редакціи ЕПАРХІАЛЬНЫХЪ ВѢДОМОСТЕЙ.

Редакторы: *Прот. Д. Юзефовичъ и П. Думитрашко.*

---

Въ Редакціи Груз. Духовнаго Вѣстника можно пріобрѣсти слѣдующія сочиненія Главнаго священника К. Арміи Протоіерея С. І. Гумилевскаго.

1) *Изъясненіе литургіи въ вопросахъ и отвѣтахъ* (Изд. 5 и 7).

2) *Изъясненіе всенощнаго бдѣнія съ назидательными размышленіями и наставленіями* (Изд. 3).

3) *Наставленіе отца сыну—молодому воину, отправляющемуся въ походъ противъ непріятеля, о важности военнаго званія и исполненіи присяги* (Изд. 2-е).

| | | |
|---|---|---|
| Цѣна экземп. первой книги. . . . . . . . . | 40 | к. |
| — — — — . . . . . . . . . | 50 | — |
| — — — — . . . . . . . . . | 30 | — |

Желающіе выписать эти книги за пересылку денегъ не прилагаютъ.

Объ изданіи ОРЛОВСКИХЪ ЕПАРХІАЛЬНЫХЪ ВѢДОМОСТЕЙ въ 1866-мъ году.

Орловскія Епархіальныя Вѣдомости будутъ издаваться въ 1866-мъ году по прежней 1865-го года программѣ, утвержденной Святѣйшимъ Сѵнодомъ.

Орловскія Епархіальныя Вѣдомости будутъ выходить ежемѣсячно двумя номерами, отъ 1-го по 15-е и отъ 15-го по 1-е число мѣсяца; въ каждомъ номерѣ имѣетъ быть отъ „3“ и до „4“ печатныхъ листовъ.

Цѣна годовому изданію Вѣдомостей, за 24 номера,— 4 руб.

Желающіе выписывать Орловскія Епархіальныя Вѣдомости на будущій 1866-й годъ благоволятъ адресоваться на имя Редакціи Орловскихъ Епархіальныхъ Вѣдомостей въ г. Орлѣ, при Орловской духовной семинаріи.

---

## СОДЕРЖАНІЕ:

I. Поученіе при освященіи храма.....
II. Пожертвованія въ пользу церкви....
III. Библіографическія извѣстія.....

---

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ.

ТИФЛИСЪ, 28-го декабря 1865 г. Печатано въ типографіи МЕЛИКОВА и К°.

# СОДЕРЖАНІЕ

## ГРУЗ. ОТДѢЛА:

I. Мученическая кончина св. ап. и архидіакона Стефана. (Изъ старой рукоп.)
II. Слово къ жителямъ г. Ахалциха. *Архим. Тарасія.*
III. Слово въ день Рождества Христова. *Свящ. Иродіона Еліозидзе.*
IV. Поученіе по избраніи судей. *Свящ. Іоиля Хатіева.*
V. Чудо отъ иконы Спасителя. Съ русск. *Ив. Берзенова.*
VI. Покаяніе разбойника. Съ русск. *Прот. Г. Гамрекелова.*
VII. О церковно-апокрифическихъ сочиненіяхъ. *Свящ. Г. Хелидзе.*
VIII. Нѣчто объ открытіи сельскихъ приходскихъ школъ. *Г. Іоселіани.*
IX. Письмо къ редактору. *Княжны Нины Амилахвари.*

# სტატიები

## დეკემბრის წიგნისა:


I. წამება წმიდისა სტეფანესი.

II. სიტყუა ახალ-ციხის ერისადმი. არხიმ. ტარასისა.

III. სიტყუა შობისათვის იესო ქრისტესა. მღ. იროდიონ ელიოზიძისა.

IV. ჴსწავლა შემდგომ დაფიცებისა სოფლის საზოგადოებისაგან ამორჩეულთა მსაჯულთა. მღ. იოელ ხატიევისა.

V. სასწაული ხატისაგან მაცხოვრისა. თარგ. ივ. ბერძენოვისა.

VI. სინანული ავაზაკისა. თარგ. დეკ. გ. გამრეკელოვისა.

VII. საეკკლესიო აპოკრიფული მწერლობისათვის. მღ. გ. ხელიძისა.

VIII. რაოდენიმე სიტყუა სასოფლო შკოლების გახსნისათვის. გ. იოსელიანისა.

IX. წიგნი რედაქტორთან. კნ. ნინო ამილახვრისა.


---


რედაქტორი და გამომცემი: მაგისტრი, მღუდელი გიორგი ხელიძე.

---

Редакторъ и издатель: Священникъ, магистръ *Георгий Хелидзе.*

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го декабря 1865 года.

Цензоръ *I. Сулхановъ.*